

შპს „ალმას“

პასუხისმგებელი პირების განცხადება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის აუდირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და ამავე წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგებები მომზადებულია შპს „ალმას“ მიერ და ვადასტურებთ, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის/კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგებები მოიცავს ბიზნესისა და ჯგუფის/კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია ჯგუფის/კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.


გენერალური დირექტორი



გიორგი ტრაპაიძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

გიორგი კაჭარავა





აღშა

აღშა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლის შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	9
კაპიტალის ცვლილების შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	11
შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. მომზადების საფუძველი	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	15
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	16
5. შეცდომის გასწორება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	22
6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ.....	23
7. გუდვილის გაუფასურების ტესტირება	24
8. შემოსავალი	25
9. გაყიდვების თვითღირებულება	25
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
11. (ზარალი)/მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა	26
12. სხვა შემოსავლები, წმინდა.....	26
13. მოგება/(ზარალი) შვილობილის გასვლიდან, წმინდა	27
14. ფინანსური შემოსავალი	27
15. ფინანსური ხარჯი.....	28
16. მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან, წმინდა	28
17. არამატერიალური აქტივები	28
18. იჯარები	29
19. ძირითადი საშუალებები	31
20. საინვესტიციო ქონება.....	33
21. შვილობილში განხორციელებული ინვესტიცია.....	36
22. ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია	36
23. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები.....	37
24. გაცემული სესხები.....	37
25. მარაგები	39
26. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39
27. ფული და ფულის ეკვივალენტები	40
28. სხვა ვალდებულებები.....	40
29. გადავადებული შემოსავალი	40
30. მიღებული სესხები.....	41
31. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	43
32. შვილობილი საწარმოს შეძენა	44
33. პირობითი ვალდებულებები.....	44
34. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	45
35. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	46
36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	46
მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	54
1. საქმიანობის ძირითადი მიმოხილვა	54
2. განვითარების გეგმები	55
3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	55
4. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	55
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	56
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	56
7. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	57
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	57
9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა.....	57

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ალმა ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

აუდიტორის დასკვნა შესწორებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ალმას“ (შემდეგში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული შესწორებული ფინანსური ანგარიშგების და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის შესწორებული კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების შესწორებული კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე შესწორებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული შესწორებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან/კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებების ამსახველი აბზაცი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარდა ჩვენს მიერ, რომელზეც გაიცა არამოდიფიცირებული მოსაზრება 2025 წლის 23 აპრილს. ხელმძღვანელობამ შეასწორა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობა, რომელიც უკავშირდებოდა 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის ხვედრით წილში მომხდარ ცვლილებას (იხილეთ შენიშვნა 5) და ჯგუფმა გამოსცა შესწორებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2025 წლის 16 ივნისს. შესწორებულმა კონსოლიდირებულმა ფინანსურმა ანგარიშგებამ ჩაანაცვლა 2025 წლის 23 აპრილს გამოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ ქვემოთ განხილული საკითხი აუდიტის ძირითადი საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხი	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
ამონაგების აღიარება: ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება. რადგან, ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ამონაგებიდან მიღებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს საოპერაციო ფულადი ნაკადების მთავარ მაგენერირებელ წყაროს, აუდიტის მიზნებისთვის ეს მუხლი უნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ძირითადად მოიცავს სარეკლამო მომსახურების გაწევას. ჩვენი შეფასებით, ჯგუფის/კომპანიის ამონაგების დიდი უმრავლესობა არაკომპლექსურია და აღიარებული თანხის მიმართ არ გამოიყენება მნიშვნელოვანი მსჯელობები. ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 36-ე შენიშვნაში - არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა. ამონაგების შესახებ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა წარდგენილია მე-8 განმარტებით შენიშვნაში.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: - შევისწავლეთ შემოსავლების ფორმირების ირგვლივ არსებული შიდა კონტროლის გარემო აუდიტისთვის მნიშვნელოვანი კონტროლების შესწავლის მიზნით; - შევაფასეთ ჯგუფის/კომპანიის მიერ ამონაგების აღიარების პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან, კერძოდ, ფასს 15-ის გამოყენებასთან მიმართებაში „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. - შევისწავლეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები; - ამონაგების გაფორმირებელი გატარებები დავადასტურეთ პირველადი დოკუმენტებით; - გამოვიკვლიეთ გარიგების ფასის განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ინფორმაციის ადეკვატურობა და შეფასებების გონივრულობა; - შევაფასეთ განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობა ფასს 15-ის მოთხოვნებთან.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის/კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვემავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგვიმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის/კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვავაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი/კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის/კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის
ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის/კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 ივნისი, 2025



აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის/კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო



16 ივნისი, 2025

ალმა ჯგუფი

შესწორებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023 (გადაანგარიშებული)*	2024	2023
შემოსავალი	8	68,707,294	53,726,030	65,657,848	50,215,080
გაყიდვების თვითღირებულება	9	(22,524,170)	(18,901,114)	(20,081,620)	(16,176,738)
საერთო მოგება		46,183,124	34,824,916	45,576,228	34,038,342
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(7,956,292)	(6,479,842)	(6,577,894)	(5,506,454)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	26	(1,719,447)	68,817	(1,778,173)	7,694
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	20	-	1,036,412	-	1,036,412
(ზარალი)/მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა	11	(162,571)	419,096	(160,977)	418,213
სხვა შემოსავლები, წმინდა	12	(146,427)	640,425	736,618	227,256
მოგება/(ზარალი) შვილობილის გასვლიდან, წმინდა	13	-	19,930,872	-	(14,279,578)
შვილობილის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა	21	-	-	-	1,412,173
საოპერაციო მოგება		36,198,387	50,440,696	37,795,802	17,354,058
ფინანსური შემოსავალი	14	2,487,318	2,811,628	3,339,817	3,432,227
ფინანსური ხარჯი	15	(19,970,611)	(19,181,027)	(12,415,034)	(11,926,740)
მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან, წმინდა	16	(2,568,389)	(374,200)	(856,349)	(400,622)
წილობრივი მეთოდით აღრიცხული კომპანიების მოგების/(ზარალის) წილი	22	(7,614,377)	(4,355,034)	(7,614,377)	(4,355,034)
მოგება დაბეგვრამდე		8,532,328	29,342,063	20,249,859	4,103,889
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,532,328	29,342,063	20,249,859	4,103,889
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:					
ჯგუფის მფლობელებისთვის		8,546,795	29,327,559		
არამაკონტროლებელი წილისთვის		(14,467)	14,504		
		8,532,328	29,342,063		

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი  გიორგი ტრაპიძე
ფინანსური მენეჯერი  ნათია დავითაძე

*ჯგუფმა შეასწორა ფასს-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, რომელიც უკავშირდებოდა 2023 წელს შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის ხვედრით წილში მომხდარ ცვლილებას (იხილეთ შენიშვნა 5) და ჯგუფმა გამოსცა შესწორებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელმაც ჩაანაცვლა 2025 წლის 23 აპრილს გამოცემული 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

12-53 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შესწორებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023 (გადაწვრიშებული)*	2024	2023
შემოსავალი	8	68,707,294	53,726,030	65,657,848	50,215,080
გაყიდვების თვითღირებულება	9	(22,524,170)	(18,901,114)	(20,081,620)	(16,176,738)
საერთო მოგება		46,183,124	34,824,916	45,576,228	34,038,342
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	10	(7,956,292)	(6,479,842)	(6,577,894)	(5,506,454)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	26	(1,719,447)	68,817	(1,778,173)	7,694
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	20	-	1,036,412	-	1,036,412
(ზარალი)/მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა	11	(162,571)	419,096	(160,977)	418,213
სხვა შემოსავლები, წმინდა	12	(146,427)	640,425	736,618	227,256
მოგება/(ზარალი) შვილობილის გასვლიდან, წმინდა	13	-	19,930,872	-	(14,279,578)
შვილობილის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა	21	-	-	-	1,412,173
საოპერაციო მოგება		36,198,387	50,440,696	37,795,802	17,354,058
ფინანსური შემოსავალი	14	2,487,318	2,811,628	3,339,817	3,432,227
ფინანსური ხარჯი	15	(19,970,611)	(19,181,027)	(12,415,034)	(11,926,740)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16	(2,568,389)	(374,200)	(856,349)	(400,622)
წილობრივი მეთოდით აღრიცხული კომპანიების მოგების/(ზარალის) წილი	22	(7,614,377)	(4,355,034)	(7,614,377)	(4,355,034)
მოგება დაბეგრამდე		8,532,328	29,342,063	20,249,859	4,103,889
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,532,328	29,342,063	20,249,859	4,103,889
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:					
ჯგუფის მფლობელებისთვის		8,546,795	29,327,559		
არამაკონტროლებელი წილისთვის		(14,467)	14,504		
		8,532,328	29,342,063		

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ივნისს შეძღვევი პირის მიერ:

ღირეჭტორი	გიორგი ტრაპაძე	ფინანსური მენეჯერი	ნათია ღავრითაძე
-----------	----------------	--------------------	-----------------

„ჯგუფმა შეასწორა ფასს-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, რომელიც უკავშირდებოდა 2023 წელს შეიღობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის ხვედრით წილში მომხდარ ცვლილებას (იხილეთ შენიშვნა 5) და ჯგუფმა გამოსცა შესწორებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელმაც ჩაანაცვლა 2025 წლის 23 აპრილს გამოცემული 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

12-53 გვერდებზე წარმოდგენილი უნიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალმა ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
		(გადაანგარიშებული)	(გადაანგარიშებული)		
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
არამატერიალური აქტივები	17	74,009,474	49,379,236	74,006,054	49,375,761
აქტივის გამოყენების უფლება	18	5,963,661	7,116,783	5,963,661	7,116,783
ძირითადი საშუალებები	19	39,283,566	29,055,538	33,404,485	28,004,104
საინვესტიციო ქონება	20	127,673,664	114,796,348	14,204,893	14,662,177
შვილობილებში	21	-	-	31,497,543	31,011,604
განხორციელებული ინვესტიცია					
ერთობლივ სანარმოში	22	31,854,877	39,469,254	31,854,877	39,469,254
განხორციელებული ინვესტიცია					
ინვესტიცია წილობრივ		190,909	122,409	39,060	39,060
ინსტრუმენტებში					
გუდვილი	7	245,133	245,133	-	-
გრძელვადიანი აქტივებისთვის	23	2,847,421	4,109,235	2,847,421	4,109,235
გადახდილი ავანსები	24	6,579,047	-	14,032,931	7,062,308
გაქვებული სესხები		288,647,752	244,293,936	207,850,925	180,850,286
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	25	2,039,643	1,794,341	1,589,912	1,648,314
გაქვებული სესხები	24	40,214,719	17,808,195	63,532,632	18,262,895
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	26	19,251,670	14,759,728	17,821,118	14,300,196
ფული და ფულის ეკვივალენტები	27	2,481,615	1,009,319	885,883	579,202
		63,987,647	35,371,583	83,829,545	34,790,607
სულ აქტივები		352,635,399	279,665,519	291,680,470	215,640,893
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საწესდებო კაპიტალი		1,326,533	1,326,533	1,326,533	1,326,533
გაუნაწილებელი მოგება		112,505,203	103,958,408	132,184,050	111,934,191
		113,831,736	105,284,941	133,510,583	113,260,724
არამაკონტროლებლის წილი		4,444,640	4,083,007	-	-
		118,276,376	109,367,948	133,510,583	113,260,724
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	18	6,097,401	7,088,837	6,097,401	7,088,837
სხვა ვალდებულებები	28	3,992,875	5,479,208	3,992,875	5,479,208
სახელშეკრულებო	8	7,417,351	9,224,306	7,417,351	9,224,306
ვალდებულებები	30	83,715,857	71,649,442	67,764,869	18,583,335
სესხები	31	-	4,562,514	-	-
საფაქრო და სხვა					
ვალდებულებები		101,223,484	98,004,307	85,272,496	40,375,686
მიმდინარე ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	28	2,203,681	1,934,994	2,203,681	1,934,994
საგადასახადო ვალდებულებები		486,762	706,122	514,711	646,440
საიჯარო ვალდებულებები	18	893,814	830,564	893,814	830,564
სახელშეკრულებო	8	5,457,152	5,218,743	5,457,152	5,218,743
ვალდებულებები					
გადავადებული შემოსავალი	29	-	3,889,387	-	-
სესხები	30	109,130,336	45,133,039	54,372,914	44,937,688
საფაქრო და სხვა	31	14,963,794	14,580,415	9,455,119	8,436,054
ვალდებულებები		133,135,539	72,293,264	72,897,391	62,004,483
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		352,635,399	279,665,519	291,680,470	215,640,893

12-53 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალმა ჯგუფი

კაპიტალის ცვლილების შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ჯგუფი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (გადაანგარიშებული)	არამაკონტროლებელი წილი (გადაანგარიშებული)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	73,222,762	88,809	74,638,104
ოპერაციები				
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან		1,408,087	3,979,694	5,387,781
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	29,327,559	14,504	29,342,063
2023 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	103,958,408	4,083,007	109,367,948
ოპერაციები				
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან	-	-	376,100	376,100
სრული შემოსავალი	-	8,546,795	(14,467)	8,532,328
2024 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	112,505,203	4,444,640	118,276,376

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	107,830,302	109,156,835
სრული შემოსავალი	-	4,103,889	4,103,889
2023 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	111,934,191	113,260,724
სრული შემოსავალი	-	20,249,859	20,249,859
2024 წლის 31 დეკემბერი	1,326,533	132,184,050	133,510,583

12-53 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალმა ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		74,383,908	58,521,482	69,075,967	51,274,759
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(16,453,918)	(15,759,177)	(12,325,925)	(13,654,306)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(6,484,421)	(5,519,850)	(4,743,523)	(3,643,883)
გადახდილი პროცენტები	18, 30	(16,980,755)	(12,737,082)	(9,879,389)	(7,665,270)
გადახდილი გადასახადები		(14,586,146)	(12,676,274)	(12,406,383)	(9,008,883)
დაბრუნებული დამატებული ღირებულების გადასახადი		-	11,717,879	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		19,878,668	23,546,978	29,720,747	17,302,417
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(13,954,871)	(3,152,318)	(9,286,219)	(3,135,615)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(21,779,272)	(38,802,041)	(538,340)	(25,782,041)
ინვესტიცია შეიღობილ კომპანიაში (კაპიტალის შეგება/(შემცირება))		376,099	(68,500)	(426,100)	-
ძირითადი საშუალებების რელიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		232,823	34,827	228,723	32,284
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		2,732,559	6,590,120	2,732,559	6,590,120
არამატერიალური აქტივების შეძენა		(29,757,884)	(135,040)	(29,757,884)	(135,040)
გაყიდული სესხები	24	(27,070,222)	(2,315,165)	(48,423,454)	(2,555,845)
წმინდა ფულადი ნაკადი შეწყვეტილი ოპერაციის გასვლიდან	13	-	13,826,355	-	15,559,345
მიღებული პროცენტები		265,243	1,464,469	262,659	1,465,067
გაყიდული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	24	1,386,548	26,208,078	1,291,748	26,328,455
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(87,568,977)	3,650,785	(83,916,308)	18,366,730
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან					
სესხების მიღება	30	129,047,896	73,301,011	102,977,277	52,876,591
სესხის დაფარვა	30	(58,751,590)	(100,674,950)	(47,293,578)	(88,957,071)
სესხის ათვისების საკომისიო		(288,787)	-	(288,787)	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	18	(801,067)	(577,227)	(801,067)	(567,736)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		69,206,452	(27,951,166)	54,593,845	(36,648,216)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	27	1,516,143	(753,403)	398,284	(979,069)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,009,319	1,779,860	579,202	1,572,846
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	16	(43,847)	(17,138)	(91,603)	(14,575)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	27	2,481,615	1,009,319	885,883	579,202

12-53 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალმა (შემდგომში „კომპანია“) (ს/კ 204873388) დარეგისტრირებულია 1995 წლის 17 ნოემბერს ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს ალმა 1995 წლიდან წარმოადგენს წამყვან კომპანიას საქართველოში გარე რეკლამის ბაზარზე. 2013 წლის ოქტომბრამდე კომპანია ცნობილი იყო „ალმა პლიუსის“ სახელით. კომპანია ფლობს შიდა რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში და 2002 წლიდან ფლობს სტამბას. დღეს კომპანიის მფლობელობაში არსებული ბილბორდები როგორც თბილისში, ასევე საქართველოს თითქმის ყველა ქალაქშია განთავსებული. კომპანია ფლობს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების 20 წლიან ექსკლუზიური უფლებას, შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის საკუთრებაში არსებულ ობიექტზე რეკლამის განთავსების 30 წლიან ექსკლუზიურ უფლებას, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ 15-წლიან ნებართვას და ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების 10-წლიან ნებართვას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვანის ქ. N 6.

კომპანიის დირექტორია გიორგი ტრაპაიძე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი მფლობელი იყო GLOBAL INVESTORS LIMITED, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს Meridian Malta, რომლებიც რეგისტრირებულია და საქმიანობას ახორციელებენ მალტის კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიების საბოლოო კონტროლის განმახორციელებელი პირები არიან ლევან ფხაკაძე (50%) და სამსონ ფხაკაძე (50%).

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	წილი/ზმის უფლება (%)		ინესტიცია შვილობილ კომპანიებში	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს ლაგუნა	სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობა	100%	100%	907,000	907,000
შპს ლომსია	სასტუმრო	100%	100%	-	-
შპს კრაკენი 8	სარეკლამო პროდუქტების და სერვისების მიწოდება ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისათვის	75%	75%	390,321	390,321
შპს სტარტაპ სტუდო	დამწევი და ინოვაციური ბიზნისების თანადაფინანსება	100%	100%	178,822	118,983
შპს კოსტაჯა თაუერსი	სამშენილო პროექტების შემუშავება	100%	100%	-	-
შპს ალმა ლისი	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	88.16%	88.16%	29,595,300	29,595,300
სს ვინთროპ ცენტრი	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	100%	100%	-	-
შპს მილენიუმ თაუერი	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	100%	100%	-	-
შპს შუბა დიტთალ	არასანარმოო დანიშნულების ფართის იჯარით გაყვმა	50%	-	376,100	-
შპს იე ენერჯი	პოლიდინგური კომპანიების საქმიანობები	100%	-	50,000	-
შპს ჩართლი ჯინერეიშენ	ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები	100%	-	-	-

ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის მეკავშირე საწარმოები არიან:

სახელწოდება	საქმიანობა	წილი/ზმის უფლება (%)		ინესტიცია წილობრივ ინსტრუმენტში	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს W-მედი	სარეკლამო პროდუქტების და სერვისების მიწოდება ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისათვის	50%	50%	39,060	39,060
შპს ჯეო ტეკი	შპს აუთდორ ჯის კაპიტალის 10% წილის მფლობელი	100%	100%	-	-
შპს პისნი ბიოგრაფისკან	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	50%	50%	2,538,661	6,823,407
შპს მატანი ბიოგრაფისკან	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	50%	50%	11,671,822	12,553,553
შპს საკენი ბიოგრაფისკან	საუბიჯრეგული და არასაუბიჯრეგული მენობების მმართველობა	50%	50%	17,644,395	20,092,295
შპს ონიქს ვინგ სტუდო	კომპიუტერული თამაშების გამოცემა	16.33%	16.33%	83,349	83,349
შპს ინო ჰაბ	BCI (Brain-Computer Interface) კვლევები AI ალგორითმზე	10%	10%	-	-

ყველა მეკავშირე საწარმო რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში.

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი/კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი/კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის/კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის სამუშაო ვალუტას.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი/კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის/კომპანიის საქმიანობა საქართველოში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფი/კომპანია მომგებიანია და აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის/კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 36-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება სანარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც სანარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებადართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ასსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ასსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასის სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასის 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასის სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასის 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშგაღებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასის სტანდარტებს.

ამჟამად, ჯგუფი/კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი/კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი/კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს/კომპანია არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია ხელმძღვანელობს ფასის 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფი/კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება ჯგუფის/კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა/კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასის 9-ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის/კომპანიის მომხმარებლებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი/კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი/კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფის/კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და საგარეო, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შეიღობილი საწარმოს შეძენა

ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა შპს მილენიუმ თაუერმა და შპს ეი ენერჯიმ 2024 წელს შეიძინეს 100%-იანი წილი შპს ბასის ესეტ მენეჯმენტში, შპს სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრსა და შპს ქართლი ჯანდაცვითი ჯგუფში. ჯგუფმა აღნიშნული ოპერაციები დააკლასიფიცირა როგორც აქტივების შეძენა. ჯგუფმა ჩაატარა ანალიზი კონცენტრაციის ტესტის საფუძველზე, რომლის შედეგადაც კონცენტრაციის ტესტი მიიჩნია დაკმაყოფილებულად, რადგან მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება კონცენტრირებული იყო თითო იდენტიფიცირებად აქტივში, რომელსაც წარმოადგენს მინა.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის/კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია ჯგუფის/კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენას და კონტროლის მიზნით. ჯგუფის/კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის/კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის/კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- გაცემული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები
- სესხები
- სხვა ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,827,789	14,283,649	17,590,669	13,954,686
გაყვანილი სესხები	46,793,766	17,808,195	77,565,563	25,325,203
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,478,851	1,006,283	885,883	579,202
	67,100,406	33,098,127	96,042,115	39,859,091
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,963,794	19,142,929	9,455,119	8,436,054
სესხები	192,846,193	116,782,481	122,137,783	63,521,023
საიჯარო ვალდებულება	6,991,215	7,919,401	6,991,215	7,919,401
სხვა ვალდებულებები	6,196,556	7,414,202	6,196,556	7,414,202
	220,997,758	151,259,013	144,780,673	87,290,680

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს/კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი/კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი/კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი/კომპანია აღგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. ასევე ჯგუფმა/კომპანიამ თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენა მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის არსებული შეფასების მეთოდოლოგია.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი/კომპანია ღებდა სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის/კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის/კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

ჯგუფი/კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი/კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ჯგუფი/კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი/კომპანია ქმნის ვადაცადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,630,620	16,064,707	20,528,100	15,811,619
გაცემული სესხები	46,793,766	17,808,195	77,565,563	25,325,203
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,478,851	1,006,283	885,883	579,202
	69,903,237	34,879,185	98,979,546	41,716,024

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის შესახებ იხილეთ 26-ე შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი/კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფი/კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ჯგუფი			31.12.2024
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,478,851	-	-	2,478,851
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,827,789	-	-	17,827,789
გაცემული სესხები	43,882,097	9,751,903	-	53,634,000
	64,188,737	9,751,903	-	73,940,640
ფინანსური ვალდებულებები				
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,963,794	-	-	14,963,794
სხვა ვალდებულებები	2,203,680	3,292,600	700,276	6,196,556
საიჯარო ვალდებულება	893,814	2,473,980	3,623,421	6,991,215
სესხები	125,932,515	78,098,393	37,466,028	241,496,936
	143,993,803	83,864,973	41,789,725	269,648,501
კომპანია				
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	885,883	-	-	885,883
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,590,669	-	-	17,590,669
გაცემული სესხები	68,885,261	13,729,049	7,970,354	90,584,664
	87,361,813	13,729,049	7,970,354	109,061,216
ფინანსური ვალდებულებები				
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,455,119	-	-	9,455,119
სხვა ვალდებულებები	2,203,680	3,292,600	700,276	6,196,556
საიჯარო ვალდებულება	893,814	2,473,980	3,623,421	6,991,215
სესხები	63,817,875	63,598,939	29,829,551	157,246,365
	76,370,488	69,365,519	34,153,248	179,889,255
ჯგუფი				
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,006,283	-	-	1,006,283
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,283,649	-	-	14,283,649
გაცემული სესხები	19,383,861	-	-	19,383,861
	34,673,793	-	-	34,673,793
ფინანსური ვალდებულებები				
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,142,929	-	-	19,142,929
სხვა ვალდებულებები	1,934,994	4,664,838	814,370	7,414,202
საიჯარო ვალდებულება	830,564	2,957,534	4,131,303	7,919,401
სესხები	52,270,464	70,177,717	23,725,353	146,173,534
	74,178,951	77,800,089	28,671,026	180,650,066
კომპანია				
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	579,202	-	-	579,202
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,954,686	-	-	13,954,686
გაცემული სესხები	19,881,356	8,284,665	-	28,166,021
	34,415,244	8,284,665	-	42,699,909
ფინანსური ვალდებულებები				
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,436,054	-	-	8,436,054
სხვა ვალდებულებები	1,934,994	4,664,838	814,370	7,414,202
საიჯარო ვალდებულება	830,564	2,957,534	4,131,303	7,919,401
სესხები	45,462,359	10,712,101	23,725,353	79,899,813
	56,663,971	18,334,473	28,671,026	103,669,470

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

4.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის/კომპანიის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი/კომპანია ღვას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხი. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის/კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი				31.12.2024
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,139,042	1,200,665	139,144	-	2,478,851
საგაწრო და სხვა მოთხოვნები	12,607,132	8,023,488	-	-	20,630,620
გაყვანილი სესხები	20,603,128	26,190,638	-	-	46,793,766
	34,349,302	35,414,791	139,144	-	69,903,237
ფინანსური ვალდებულებები					
საგაწრო და სხვა ვალდებულებები	13,552,819	1,393,468	17,507	-	14,963,794
სხვა ვალდებულებები	2,097,742	4,098,814	-	-	6,196,556
საიჯარო ვალდებულება	4,769,041	1,630,343	591,831	-	6,991,215
სესხები	71,377,296	92,886,480	28,582,417	-	192,846,193
	91,796,898	100,009,105	29,191,755	-	220,997,758
ლია სავალუტო პოზიცია	(57,447,596)	(64,594,314)	(29,052,611)	-	

	კომპანია				31.12.2024
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	742,838	16,828	126,217	-	885,883
საგაწრო და სხვა მოთხოვნები	12,504,612	8,023,488	-	-	20,528,100
გაყვანილი სესხები	20,173,731	57,391,832	-	-	77,565,563
	33,421,181	65,432,148	126,217	-	98,979,546
ფინანსური ვალდებულებები					
საგაწრო და სხვა ვალდებულებები	8,044,144	1,393,468	17,507	-	9,455,119
სხვა ვალდებულებები	2,097,742	4,098,814	-	-	6,196,556
საიჯარო ვალდებულება	4,769,041	1,630,343	591,831	-	6,991,215
სესხები	11,912,431	81,642,935	28,582,417	-	122,137,783
	26,823,358	88,765,560	29,191,755	-	144,780,673
ლია სავალუტო პოზიცია	6,597,823	(23,333,412)	(29,065,538)	-	

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

4.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ჯგუფი				31.12.2023
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	950,418	22,218	33,647	-	1,006,283
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,518,841	7,545,866	-	-	16,064,707
გაყიდვითი სესხები	13,509,427	4,298,768	-	-	17,808,195
	22,978,686	11,866,852	33,647	-	34,879,185
ფინანსური ვალდებულებები					
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,219,413	918,549	4,126	841	19,142,929
სხვა ვალდებულებები	2,254,241	5,159,961	-	-	7,414,202
საიჯარო ვალდებულება	5,470,659	1,620,287	828,455	-	7,919,401
სესხები	79,129,905	37,652,576	-	-	116,782,481
	105,074,218	45,351,373	832,581	841	151,259,013
ლია საგალუქო პოზიცია	(82,095,532)	(33,484,521)	(798,934)	(841)	

	კომპანია				31.12.2023
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	527,316	18,239	33,647	-	579,202
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,265,753	7,545,866	-	-	15,811,619
გაყიდვითი სესხები	13,583,126	11,742,077	-	-	25,325,203
	22,376,195	19,306,182	33,647	-	41,716,024
ფინანსური ვალდებულებები					
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,512,580	918,507	4,126	841	8,436,054
სხვა ვალდებულებები	2,254,241	5,159,961	-	-	7,414,202
საიჯარო ვალდებულება	5,470,659	1,620,287	828,455	-	7,919,401
სესხები	33,076,315	30,444,708	-	-	63,521,023
	48,313,795	38,143,463	832,581	841	87,290,680
ლია საგალუქო პოზიცია	(25,937,600)	(18,837,281)	(798,934)	(841)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ საგალუქო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს საგალუქო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს საგალუქო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
	ჯგუფი			
მოგება(ზარალი) 2024	(12,918,863)	12,918,863	(5,810,522)	5,810,522
მოგება(ზარალი) 2023	(6,696,904)	6,696,904	(159,787)	159,787
	კომპანია			
მოგება(ზარალი) 2024	(4,666,682)	4,666,682	(5,813,108)	5,813,108
მოგება(ზარალი) 2023	(3,767,456)	3,767,456	(159,787)	159,787

კაპიტალის მართვა

ჯგუფი/კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

5. შეცდომის გასწორება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

ჯგუფმა გადაიანგარიშა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედარისი ინფორმაცია. გადაანგარიშება გამოიწვია 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის შეცდომამ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშგების შედეგს:

2024	შენიშვნა	წინა	შეცდომა	გადაანგარიშებული
		ანგარიშგებაში წარდგენილი		
საწესდებო კაპიტალი		1,326,533	-	1,326,533
გაუნაწილებელი მოგება	5.1	116,484,897	(3,979,694)	112,505,203
კომპანიის მენილეებს მიკუთვნებული კაპიტალი		117,811,430	(3,979,694)	113,831,736
არამაკონტროლებლის წილი	5.1	464,946	3,979,694	4,444,640
სულ კაპიტალი		118,276,376	-	118,276,376

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს წინა პერიოდში გამოცემული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშგების შედეგს.

2023 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების გადაანგარიშგების ეფექტი:

2023	შენიშვნა	წინა პერიოდში წარდგენილი	შეცდომა	გადაანგარიშებული
შვილობილის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, წმინდა	5.1	5,387,781	(5,387,781)	-
წმინდა მოგება		34,729,844	(5,387,781)	29,342,063
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		34,729,844	(5,387,781)	29,342,063
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:				
ჯგუფის მფლობელებისთვის		34,715,340	(5,387,781)	29,327,559
არამაკონტროლებელი წილისთვის		14,504	-	14,504

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშგების ეფექტი:

2023	შენიშვნა	წინა პერიოდში წარდგენილი	შეცდომა	გადაანგარიშებული
საწესდებო კაპიტალი		1,326,533	-	1,326,533
გაუნაწილებელი მოგება	5.1	107,938,102	(3,979,694)	103,958,408
კომპანიის მენილეებს მიკუთვნებული კაპიტალი		109,264,635	(3,979,694)	105,284,941
არამაკონტროლებლის წილი	5.1	103,313	3,979,694	4,083,007
სულ კაპიტალი		109,367,948	-	109,367,948

წინა პერიოდის შეცდომას არანაირი ეფექტი არ ჰქონია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებების აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ამავე პერიოდების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებზე.

5.1. წინა პერიოდის შეცდომა

ჯგუფის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ ოპერაცია არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან არასწორად იყო აღრიცხული 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში. კერძოდ, 2023 წელს გაიყიდა შვილობილი კომპანიის, შპს „ალმა ლისის“ წილის 11.84% . აღნიშნული ტრანზაქციის ფარგლებში ჯგუფმა მიიღო 5.38 მილიონი ლარი. აღნიშნული ტრანზაქციიდან წილის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა აისახა როგორც შვილობილის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ნაცვლად კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა. ჯგუფმა გაითვალისწინა მოცემულ შეცდომასთან დაკავშირებული კორექტირება. გადაანგარიშგების შედეგად გაიზარდა არამაკონტროლებლის წილი და ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება 3,98 მლნ და 1.4 მლნ ლარით შესაბამისად და შემცირდა შვილობილის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 5.38 მლნ ლარით.

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი/კომპანია განმარტავს ინფორმაციას სეგმენტების შესახებ, რადგან 2025 წლიდან ჯგუფი/კომპანია აპირებს განათავსოს ობლიგაციები საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. რადგან, ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამავე დროს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც, სეგმენტური ინფორმაცია წარდგენილია მხოლოდ კონსოლიდირებულ დონეზე.

პროდუქციისა და მომსახურების ტიპების აღწერა, საიდანაც თითოეული საანგარიშო სეგმენტი იღებს თავის შემოსავალს

ჯგუფს აქვს სამი ძირითადი სეგმენტი:

(ა) სარეკლამო მომსახურება - სეგმენტი ფლობს მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებებს და ჯგუფის ბიზნესის უდიდეს ნაწილს შეადგენს, რაც 2024 და 2023 წლებში ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 99%-ზე მეტს. სარეკლამო მომსახურება მოიცავს ასევე კრეატიულ სააგენტოს, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს სოციალური ქსელების მართვას, ბრენდინგს, სარეკლამო კამპანიების დაგეგმვას და ა.შ.

(ბ) დეველოპერული საქმიანობა - სეგმენტის საქმიანობას წარმოადგენს დეველოპერული პროექტების განხორციელება. ჯგუფი ძირითადად ფლობს მიწებს თბილისში. თბილისში ჯგუფი გეგმავს მრავალფუნქციური საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი კომპლექსების აშენებას შემდგომი რეალიზაციის მიზნით. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი ყურადღებით აკონტროლებს აღნიშნულ სეგმენტს, როგორც პოტენციური ზრდის ბიზნეს სეგმენტს და იმედოვნებს, რომ მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის ამონაგების ზრდას.

გ) სხვა სეგმენტში შედის სასტუმრო. სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ენერგეტიკის საქმიანობის მიმართულებები. სეგმენტი გეგმავს მარნეულის მუნიციპალიტეტში 50 მეგავატი სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებას. სეგმენტის მთლიანი აქტივები და მიღებული ამონაგები ჯგუფის მცირე ნაწილს შეადგენს და არ აკმაყოფილებს საანგარიშგებო სეგმენტის რაოდენობრივი ზღვრების კრიტერიუმებიდან არცერთს.

ფაქტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობა იყენებდა ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტების დასადგენად

ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტები წარმოადგენს სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებას. მათი მართვა ცალკე ხდება, რადგან თითოეული ბიზნესი მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მარკეტინგულ სტრატეგიას.

ხელმძღვანელობა ახორციელებს სეგმენტების აგრეგირებას, როდესაც მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და ეს სეგმენტები მსგავსია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის მიხედვით:

- ა) პროდუქციისა და მომსახურების ხასიათი;
- ბ) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი
- გ) საწარმოო პროცესების ხასიათი;
- დ) პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების ტიპი ან კატეგორია;
- ე) პროდუქციის განაწილების ან მომსახურების გასაწევად გამოყენებული მეთოდები;

საოპერაციო სეგმენტების შესახებ ანგარიშგება ხორციელდება საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირისთვის მიწოდებული შიდა ანგარიშგების შესაბამისად. საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს წარმოადგენს მშობელი საწარმო ღირექტორი.

საოპერაციო სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასება

ჯგუფი აფასებს სეგმენტურ საქმიანობას ფასს-ის შესაბამისად გაანგარიშებული ოპერაციიდან მიღებული მოგების ან ზარალის საფუძველზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის ჯგუფი სეგმენტზე არ ანაწილებს შემდეგს:

- არაგანმეორებითი შემოსავალი და ხარჯი,
- წილობრივი მეთოდით აღრიცხული კომპანიების გადასახადის შემდგომი მოგებიდან წილი
- ფინანსური ხარჯები და შემოსავლები;
- ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან

ჯგუფის სეგმენტების აქტივები განლაგებულია საქართველოში, ამიტომ ჯგუფი არ გაშიფრავს ინფორმაციას აქტივების გეოგრაფიული განაწილების შესახებ.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

სეგმენტებს შორის შემოსავლები გაიქვითება კონსოლიდაციისას და აისახება “შიდა ჯგუფური ოპერაციების ელიმინირების” სვეტში. ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების საქმიანობის შედეგებს.

2024	სარეკლამო მომსახურება	დეველოპერული საქმიანობა	სხვა	სულ სეგმენტები	შიდა ჯგუფური ოპერაციების ელიმინირება	კონსოლიდირებული
შემოსავალი	68,914,519	-	18,713	68,933,232	(225,938)	68,707,294
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(22,565,032)	-	(57,943)	(22,622,975)	98,805	(22,524,170)
საერთო მოგება	46,349,487	-	(39,230)	46,310,257	(127,133)	46,183,124
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,269,015)	(119,894)	(816,677)	(8,205,586)	249,294	(7,956,292)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(1,783,472)	(8,585)	(129)	(1,792,186)	72,739	(1,719,447)
მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა	(162,571)	-	-	(162,571)	-	(162,571)
სხვა შემოსავალი, წმინდა	734,506	365,392	190,580	1,290,478	(1,436,905)	(146,427)
საოპერაციო მოგება	37,868,935	236,913	(665,456)	37,440,392	(1,242,005)	36,198,387

2023	სარეკლამო მომსახურება	დეველოპერული საქმიანობა	სხვა	სულ სეგმენტები	შიდა ჯგუფური ოპერაციების ელიმინირება	კონსოლიდირებული
შემოსავალი	53,883,928	6,400	8,693	53,899,021	(172,991)	53,726,030
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(18,964,192)	-	-	(18,964,192)	63,078	(18,901,114)
საერთო მოგება	34,919,736	6,400	8,693	34,934,829	(109,913)	34,824,916
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,241,466)	(146,861)	(308,372)	(6,696,699)	216,857	(6,479,842)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(1,357)	(14,978)	(43)	(16,378)	85,195	68,817
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ცვლილება	1,036,412	-	-	1,036,412	-	1,036,412
მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა	419,096	-	-	419,096	-	419,096
სხვა შემოსავალი, წმინდა	190,201	408,272	151,150	749,623	(109,198)	640,425
საოპერაციო მოგება	30,322,622	252,833	(148,572)	30,426,883	82,941	30,509,824

ჯგუფი ძირითად მომხმარებლებად განსაზღვრავს იმ მომხმარებლებს, რომლიდანაც მიღებული ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში უდრის ან აღემატება ჯგუფის ამონაგების 10%-ს. არცერთ სეგმენტში არ არის მომხმარებელი, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის 10%-ზე მეტს.

7. გუდვილის გაუფასურების ტესტირება

შპს ალმამ, 2021 წლის 9 ივლისს შეიძინა შპს კრაკენი 8-ის 75%-იანი წილი. აღნიშნული ოპერაციიდან კომპანიას წარმოეშვა 245,133 ლარის ღირებულების გუდვილი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების მეთოდით. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

2024 და 2023 წლის განმავლობაში, გაუფასურების ტესტირებამ აჩვენა, რომ მანამდე აღიარებული გუდვილი არ გაუფასურებულა. დისკონტირების განაკვეთი (დაბეგვრამდე), რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დათვლისთვის შეადგენს 16.34% და 17.58%, შესაბამისად. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა მის გამოყენების ღირებულებას, რომელიც გამოითვალა ხელმძღვანელობის მიერ 2029 და 2028 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადების პროგნოზების საფუძველზე.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

8. შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან	63,740,486	50,309,467	60,691,218	46,818,288
შემოსავალი ბანერების გაყიდვიდან	4,966,808	3,416,563	4,966,630	3,396,792
	68,707,294	53,726,030	65,657,848	50,215,080

ძირითადად მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის ერთ წლამდე ვადით, შედეგად ჯგუფი/კომპანია იყენებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემულ შეღავათს და არ განმარტავს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებს.

სახელშეკრულებო ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი/კომპანია	
	2024	2023
1 იანვარი	14,443,049	15,779,992
სახელშეკრულებო ვალდებულებების ფინანსური ხარჯი	1,241,728	1,407,409
სახელშეკრულებო ვალდებულებებში მოცემული თანხები, რომლებიც აღიარდა შემოსავლად წლის განმავლობაში	(3,769,211)	(3,064,209)
მიღებული ანაზღაურება ავანსად, რომელიც არ აღიარებულა შემოსავლად წლის განმავლობაში	958,937	319,857
31 დეკემბერი	12,874,503	14,443,049

ჯგუფი/კომპანია ორი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში არ აკმაყოფილებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემული შეღავათის პირობებს, რადგან წინასწარ აქვს მიღებული კომპენსაცია გრძელვადიანი სარეკლამო მომსახურების გასანვად. ამონაგები, რომელსაც აღნიშნული კონტრაქტების ფარგლებში ჯგუფი/კომპანია აღიარებს მომავალ პერიოდებში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შემდგომ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2024	ჯგუფი/კომპანია			
	2025	2026	2027-2028	ჯამი
სს თიბისი ბანკი (10 წლიანი მომსახურების კონტრაქტი)	2,472,450	2,472,450	4,944,901	9,889,801
	2,472,450	2,472,450	4,944,901	9,889,801

31.12.2023	ჯგუფი/კომპანია			
	2024	2025	2026-2028	ჯამი
სს თიბისი ბანკი (10 წლიანი მომსახურების კონტრაქტი)	2,306,076	2,306,076	6,918,230	11,530,382
სს თიბისი ბანკი (3 წლიანი მომსახურების კონტრაქტი)	886,903	-	-	886,903
	3,192,979	2,306,076	6,918,230	12,417,285

9. გაყიდვების თვითღირებულება

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,180,878)	(6,922,481)	(8,165,306)	(6,922,481)
შრომის ანაზღაურება	(6,004,198)	(4,666,362)	(4,652,907)	(3,511,700)
იჯარის ხარჯი	(1,412,985)	(946,960)	(1,469,419)	(962,214)
კომუნალური ხარჯი	(1,368,745)	(1,323,381)	(1,363,237)	(1,304,473)
მასალების ხარჯი	(1,318,814)	(1,074,160)	(1,318,814)	(1,074,160)
სოციალური ქსილების მომსახურების ხარჯი	(1,126,613)	(1,559,613)	-	-
მოვლა-შენახვის ხარჯი	(1,074,231)	(790,307)	(1,074,231)	(790,307)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(887,104)	(926,057)	(887,104)	(919,609)
სხვა	(1,150,602)	(691,793)	(1,150,602)	(691,794)
	(22,524,170)	(18,901,114)	(20,081,620)	(16,176,738)

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(2,398,355)	(2,013,553)	(1,770,145)	(1,420,250)
პროფესიული მომსახურებები*	(2,356,303)	(1,817,420)	(1,917,305)	(1,649,433)
ცვვითა და ამორტიზაცია	(689,923)	(662,248)	(640,883)	(618,164)
საგადასახადო ხარჯი	(497,291)	(489,280)	(429,665)	(430,818)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(406,545)	-	(406,545)	-
მარაგების გაუფასურება	(283,291)	(368,469)	(283,291)	(368,469)
კომუნიკაციის ხარჯი	(145,411)	(124,427)	(117,187)	(114,723)
იჯარა	(116,914)	(45,327)	-	-
საბანკო მომსახურება	(102,863)	(63,865)	(61,762)	(56,090)
ცვვითა და ამორტიზაცია	(96,197)	(93,039)	(96,197)	(93,039)
სარეკლამო ხარჯი	(62,301)	(14,402)	(186,633)	(104,508)
კომუნალური ხარჯი	(49,557)	(60,801)	(24,485)	(30,749)
სხვა	(751,341)	(727,011)	(643,796)	(620,211)
	(7,956,292)	(6,479,842)	(6,577,894)	(5,506,454)

*2024 და 2023 წლის პროფესიული სერვისების ხარჯი მოიცავს უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებას კომპანიისთვის 1,696,948 და 1,373,253 ლარის ოდენობით, ხოლო ჯგუფისთვის 2,046,388 და 1,373,253 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

11. (ზარალი)/მოგება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან, წმინდა

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
რეალიზებული გრძელვადიანი აქტივების ღირებულება	(2,751,843)	(9,195,422)	(2,745,730)	(9,193,763)
ძირითადი საშუალებები	(1,082,670)	(477,963)	(1,076,557)	(476,304)
საინვესტიციო ქონება	(1,669,173)	(8,717,459)	(1,669,173)	(8,717,459)
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	2,589,272	9,614,518	2,584,753	9,611,976
ძირითადი საშუალებები	970,736	255,754	966,217	253,212
საინვესტიციო ქონება	1,618,536	9,358,764	1,618,536	9,358,764
	(162,571)	419,096	(160,977)	418,213

12. სხვა შემოსავლები, წმინდა

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
საიჯარო შემოსავალი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელშეკრულებიდან	3,889,387	3,889,387	-	-
ლაგუნას სპორტკომპლექსის და ლომსიას სასტუმროს შემოსავალი	1,094,094	936,413	-	-
საურავი	662,577	-	662,577	-
საინვესტიციო ქონებასის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	375,549	680,669	91,166	335,744
საიჯარო ხელშეკრულების ქვლილებების ეფექტი	33,637	(7,632)	33,637	-
საინვესტიციო ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები	(4,061,686)	(4,150,887)	(120,313)	(203,637)
სანარმოს შეძენის შედეგად მიღებული ხარჯი	(1,314,744)	-	-	-
ლაგუნას სპორტკომპლექსის და ლომსიას სასტუმროს ხარჯი	(910,832)	(783,569)	-	-
სხვა შემოსავალი	85,591	76,044	69,551	95,149
	(146,427)	640,425	736,618	227,256

*დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 29.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

13. მოგება/(ზარალი) შვილობილის გასვლიდან, წმინდა

ჯგუფმა/კომპანიამ 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში შპს საკენი ბიოგრაფისგან გაყიდა 50%-იანი წილი:

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
მიღებული ფული	-	15,559,345	-	15,559,345
სულ მიღებული საზღაური	-	15,559,345	-	15,559,345
გასული ფული	-	(1,732,990)	-	(1,732,990)
გასული წმინდა აქტივები (გარდა ფულისა):				
საინვესტიციო ქონება	-	(22,775,550)	-	(56,986,000)
მარაგები	-	(2,635)	-	(2,635)
საგადასახადო აქტივი	-	(4,176)	-	(4,176)
გაყვამული სესხები	-	(381,000)	-	(381,000)
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(8,994,682)	-	(8,994,682)
სესხები	-	9,951,090	-	9,951,090
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	4,109,741	-	4,109,741
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	2,029,558	-	2,029,558
საგადასახადო ვალდებულებები	-	241,500	-	241,500
არამაკონტროლებლის წილი	-	22,114,396	-	22,114,396
	-	6,288,242	-	(27,922,208)
ზარალი შვილობილის გასვლიდან	-	21,847,587	-	(12,362,863)
შედეგი შვილობილის გასვლის ოპერაციებიდან				
შემოსავალი	-	4,678	-	4,678
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	-	(143,422)	-	(143,422)
სხვა შემოსავალი, წმინდა	-	102,563	-	102,563
ფინანსური შემოსავალი	-	188	-	188
ფინანსური ხარჯი	-	(170,528)	-	(170,528)
ზარალი საკუთროს სხვაობიდან, წმინდა	-	22,796	-	22,796
	-	(183,725)	-	(183,725)
წმინდა მოგება/(ზარალი) შვილობილის გასვლიდან	-	20,114,597	-	(14,095,853)
სულ წმინდა მოგება შვილობილის გასვლის ოპერაციებიდან	-	19,930,872	-	(14,279,578)

14. ფინანსური შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
შპს ველაჯიო	2,000,308	1,135,271	2,000,308	1,135,271
შპს იდეა	499,928	-	421,107	-
გლობალ ინვესტორს ლიმიტიდი	340,117	-	340,117	-
სს საქართველოს ბანკი	248,559	64,543	248,559	64,538
შპს პრაიმ ფროფერტი გრუპ	21,413	22,003	21,413	22,003
შპს მპ დეველოპმენტი	619	-	619	-
სს თიბისი ბანკი	402	233	402	233
შპს ვისოლ ჯგუფი	74	-	74	-
შპს ჰისნი ბიოგრაფისგან	-	1,040,949	-	1,040,949
შპს გლობალ ინვესტორს ლიმიტიდი	-	513,629	-	513,629
სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია	-	234,384	-	234,384
შპს მათიანი ბიოგრაფისგან	-	24,180	-	24,180
შპს საკენი ბიოგრაფისგან	-	603	-	603
შპს მილენიუმ თაუერი	-	-	781,645	-
შპს კოსტავა თაუერსი	-	-	733,052	701,018
შპს ეი ენერჯი	-	-	346,514	-
შპს ალმა ლისი	-	-	30,904	2,191
სს ლაგუნა	-	-	24,902	21,273
შპს ლომსია	-	-	10,671	12,029
შპს სტარტაპ სტუდიო	-	-	3,762	6,447
სესხის ღირებულების ცვლილება*	(624,102)	(224,167)	(1,624,232)	(346,521)
	2,487,318	2,811,628	3,339,817	3,432,227

*დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 24.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

15. ფინანსური ხარჯი

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(17,640,012)	(14,148,493)	(9,690,856)	(8,323,913)
საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(1,241,728)	(1,407,409)	(1,241,728)	(1,407,409)
ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(753,049)	(836,583)	(753,049)	(836,054)
სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(618,996)	(1,429,178)	-	-
ლოკიზაციებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(729,369)	(826,641)	(729,401)	(826,641)
სესხის ღირებულების კვლილება*	1,012,543	(532,723)	-	(532,723)
	<u>(19,970,611)</u>	<u>(19,181,027)</u>	<u>(12,415,034)</u>	<u>(11,926,740)</u>

*დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 30.

16. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ფიქსირებული ფულადი და ფულის ეკვივალენტებზე	(43,847)	(17,138)	(91,603)	(14,575)
ფიქსირებული სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(2,524,542)	(357,062)	(764,746)	(386,047)
	<u>(2,568,389)</u>	<u>(374,200)</u>	<u>(856,349)</u>	<u>(400,622)</u>

17. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ჯგუფი		
	ლოცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31.12.2022	67,044,914	251,021	67,295,935
შემოსვლა	5,040	130,000	135,040
ჩამონღრა	(176,720)	(17,000)	(193,720)
31.12.2023	66,873,234	364,021	67,237,255
შემოსვლა	29,629,684*	129,302	29,758,986
31.12.2024	96,502,918	493,323	96,996,241
ამორტიზაცია			
31.12.2022	(13,809,940)	(93,887)	(13,903,827)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(4,091,808)	(56,104)	(4,147,912)
ჩამონღრა	176,720	17,000	193,720
31.12.2023	(17,725,028)	(132,991)	(17,858,019)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(5,048,717)	(80,031)	(5,128,748)
31.12.2024	(22,773,745)	(213,022)	(22,986,767)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	49,148,206	231,030	49,379,236
31 დეკემბერი 2024	73,729,173	280,301	74,009,474

ისტორიული ღირებულება	კომპანია		
	ლოცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31.12.2022	67,044,914	246,580	67,291,494
შემოსვლა	5,040	130,000	135,040
ჩამონღრა	(176,720)	(17,000)	(193,720)
31.12.2023	66,873,234	359,580	67,232,814
შემოსვლა	29,629,684*	129,302	29,758,986
31.12.2024	96,502,918	488,882	96,991,800
ამორტიზაცია			
31.12.2022	(13,809,940)	(93,150)	(13,903,090)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(4,091,808)	(55,875)	(4,147,683)
ჩამონღრა	176,720	17,000	193,720
31.12.2023	(17,725,028)	(132,025)	(17,857,053)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(5,048,717)	(79,976)	(5,128,693)
31.12.2024	(22,773,745)	(212,001)	(22,985,746)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	49,148,206	227,555	49,375,761
31 დეკემბერი 2024	73,729,173	276,881	74,006,054

*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების 10-წლიანი ნებართვა.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. იჯარები

ჯგუფი/კომპანია ქირაობს მიწის მცირე მონაკვეთებს, შენობა-ნაგებობებს და სხვა ადგილებს სარეკლამო კონსტრუქციების განსათავსებლად. ჯგუფს/კომპანიას აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა კომპანიებთან, ფიზიკურ პირებთან და მუნიციპალურ ორგანოებთან. ჯგუფის 23 მიწის ნაკვეთის იჯარიდან 22 იჯარა გასაზღვრულია ლარში, ხოლო 1 - დოლარში, 3 შენობა-ნაგებობის იჯარა, ორი განსაზღვრულია დოლარში, ხოლო ერთი განსაზღვრულია ევროში, სხვა იჯარების რაოდენობა, რომელიც ითვალისწინებს სარეკლამო კონსტრუქციების განთავსებისთვის სხვადასხვა ადგილების ქირაობას შეადგენს 56-ს, რომელთაგან 48 განსაზღვრულია ლარში, ხოლო 8 დოლარში. ყველა იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ჯგუფი/კომპანია			
	მიწა	სხვა ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	შენობა-ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2024	1,945,619	3,979,507	1,191,657	7,116,783
შემოსვლა	-	31,966	-	31,966
ამორტიზაცია	(195,650)	(405,098)	(382,553)	(983,301)
მოდიფიკაციის ეფექტი	(3,701)	(327,534)	129,448	(201,787)
31 დეკემბერი 2024	1,746,268	3,278,841	938,552	5,963,661

	ჯგუფი			
	მიწა	სხვა ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	შენობა-ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2023	2,152,291	3,717,045	1,644,125	7,513,461
შემოსვლა	9,108	679,935	-	689,043
ამორტიზაცია	(215,780)	(417,473)	(385,843)	(1,019,096)
მოდიფიკაციის ეფექტი	-	-	(66,625)	(66,625)
31 დეკემბერი 2023	1,945,619	3,979,507	1,191,657	7,116,783

	კომპანია			
	მიწა	სხვა ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	შენობა-ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2023	2,152,291	3,717,045	1,571,052	7,440,388
შემოსვლა	9,108	679,935	-	689,043
ამორტიზაცია	(215,780)	(417,473)	(379,395)	(1,012,648)
31 დეკემბერი 2023	1,945,619	3,979,507	1,191,657	7,116,783

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	ჯგუფი/კომპანია			
	მიწა	სხვა ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	შენობა-ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2024	2,147,085	4,609,026	1,163,290	7,919,401
შემოსვლა	-	31,966	-	31,966
საპროცენტო ხარჯი	239,836	445,225	67,988	753,049
ძირის დაფარვა	(141,239)	(302,607)	(357,221)	(801,067)
ძირის დაფარვა - არაფულადი	(1,347)	-	-	(1,347)
პროცენტის გადახდა	(200,073)	(444,255)	(67,988)	(712,316)
პროცენტის დაფარვა - არაფულადი	(39,763)	-	-	(39,763)
მოდიფიკაციის ეფექტი	(3,979)	(360,893)	129,448	(235,424)
კურსთაშორისი სხვაობა	20,571	38,180	17,965	76,716
31 დეკემბერი 2024	2,021,091	4,016,642	953,482	6,991,215

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები - დროდადრო, ნორმალური საოპერაციო ციკლის ფარგლებში, ჯგუფი/კომპანია ღებულობს ხოლმე საჩივრებს მოქალაქეებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მიიღებს არსებით ალურიცხავ დანაკარგებს, შესაბამისად, არ აღიარებს მოსალოდნელ ზარალს ამ საკითხთან მიმართებით.

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

34. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა/კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		ჯგუფი		კომპანია	
ურთიერთობა		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
საიჯარო და სხვა გასაღებულობები		5,484,699	5,626,222	5,529,584	5,646,485
შპს აუტოდორ.ჯი	სხვა	5,423,992	5,390,560	5,423,992	5,390,560
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	41,454	225,770	39,330	225,770
შპს ვისოლ აგრო ექსპრესი	სხვა	15,599	100	15,599	100
სს სმარტ რითილი	სხვა	3,654	9,792	3,654	9,792
შპს კრაკენი 8	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	28,137	20,263
შპს შუზა დიჯიტალ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	18,872	-
საიჯარო და სხვა მოთხოვნები		82,017	158,928	594,907	503,157
შპს "კიოსკ ჯორჯია"	სხვა	26,913	38,998	26,913	38,998
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	26,466	38,907	26,466	38,907
შპს ვისოლ აგრო ექსპრესი	სხვა	22,586	9,612	13,736	9,612
შპს შუკდიდი პალასი	სხვა	6,052	-	-	-
შპს ვილაჯიო	სხვა	-	52,663	-	52,662
სს სმარტ რითილი	სხვა	-	18,000	-	18,000
სს გენჯორჯია	სხვა	-	748	-	748
შპს ლომსია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	473,710	329,710
შპს კრაკენი 8	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	54,082	14,520
გაყვანილობის სესხი		46,793,766	17,808,195	77,565,563	25,325,203
შპს ვილაჯიო	სხვა	24,790,037	13,005,799	24,790,037	13,005,799
შპს ილქა	სხვა	15,677,317	-	14,460,787	-
გლობალ ინვესტორს ლიმიტი	სხვა	5,150,804	4,588,584	5,150,804	4,588,584
შპს შპ დიველოპმენტი	სხვა	950,619	-	950,619	-
შპს პრაიმ ფროფრთი გრუპ	სხვა	218,224	212,811	218,224	212,811
შპს ვისოლ ჯგუფი	სხვა	6,765	-	6,765	-
შპს მილინიუმ თაუერი	სხვა	-	1,001	19,019,401	1,001
შპს კოსტავა თაუერსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	8,233,481	7,062,308
შპს გი. ნებრაჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	3,958,991	-
სს ლაგუნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	300,458	247,556
შპს ალმა ლისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	407,449	93,191
შპს ლომსია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	68,547	57,876
შპს სტარტაპ სკუილი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	56,077
მიღებული სესხი		1,422,160	33,537,770	1,422,160	37,004,200
შპს შუკდიდი პალასი	სხვა	1,422,160	1,232,992	1,422,160	1,363,188
ფ/პ ლივან თბაქაძე	საბოლოო ბენეფიციარი	-	15,513,665	-	17,230,233
ფ/პ სამსონ თბაქაძე	საბოლოო ბენეფიციარი	-	11,911,431	-	11,911,431
ფ/პ ვასილ თბაქაძე	საბოლოო ბენეფიციარი	-	3,392,800	-	5,012,466
შპს აუტოდორ.ჯი	სხვა	-	1,486,882	-	1,486,882
ურთიერთობა		ჯგუფი		კომპანია	
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი		2,547,095	1,309,788	2,159,225	989,519
შპს ბიოგრაფი ლივინჯი	სხვა	842,007	387,972	636,282	58,799
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	648,451	342,631	448,414	342,631
შპს "გ-ჯიო რესტორნები"	სხვა	634,458	236,199	626,410	186,514
შპს კიოსკ ჯორჯია	სხვა	228,905	144,548	218,405	95,394
შპს საკენი ბიოგრაფიკი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	68,124	-	68,124	156,641
შპს შპ დიველოპმენტი	სხვა	39,734	300	39,734	300
შპს შუკდიდი პალასი	სხვა	36,631	22,912	-	-
სს სმარტ რითილი	სხვა	28,271	16,065	28,271	16,065
შპს ვისოლ აგრო ექსპრესი	სხვა	13,495	136,704	3,495	70,912
შპს მატინი ბიოგრაფიკი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	7,019	28	7,019	28
შპს ვინ ჯორჯია	სხვა	-	14,411	-	14,411
შპს აუტოდორ.ჯი	სხვა	-	8,019	-	-
შპს კრაკენი 8	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	83,071	47,824
რეალიზებული პროდუქციის		(63,743)	(57,379)	(78,998)	(72,633)
თვითღირებულება					
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	(37,473)	(38,573)	(37,473)	(38,573)
შპს ვისოლ აგრო ექსპრესი	სხვა	(14,270)	(6,806)	(14,270)	(6,806)
შპს შპ დიველოპმენტი	სხვა	(12,000)	(12,000)	(12,000)	(12,000)
შპს კოსტავა თაუერსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	(15,255)	(15,254)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(681,983)	(313,734)	(805,459)	(391,399)
გასილ თბაქაძე	საბოლოო ბენეფიციარი	(341,887)	(259,589)	(341,887)	(259,589)
ლივან თბაქაძე	საბოლოო ბენეფიციარი	(331,284)	(43,665)	(331,284)	(43,665)
სს სმარტ რითილი	სხვა	(7,180)	-	(7,180)	-
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	(1,632)	(2,005)	(1,200)	(2,005)
შპს ბიოგრაფი ლივინჯი	სხვა	-	(8,475)	-	(8,475)
შპს კრაკენი 8	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	(123,908)	(77,665)
მარაგების შეძენა		338,367	277,644	336,927	277,644
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	308,272	261,264	307,727	261,264
სს სმარტ რითილი	სხვა	30,095	16,380	29,200	16,380

ალმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

34. ოპერაციები და კავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

		ჯგუფი		კომპანია	
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
ერთიერთობა					
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა		-	17,514,101	-	17,514,101
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	-	17,513,300	-	17,513,300
შპს შპ დიველოპმენტი	სხვა	-	801	-	801
წმინდა (ზარალი)/მოგება					
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან		-	4	-	(749)
შპს შპ დიველოპმენტი	სხვა	-	4	-	4
შპს კრაკენი 8	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	(753)
ფინანსური ხარჯი					
ლოგან ფხაჰაძე	საბოლოო ბენეფიციარი	(3,061,168)	(2,411,993)	(3,061,168)	(2,469,318)
სოსო ფხაჰაძე	საბოლოო ბენეფიციარი	(1,553,100)	(958,447)	(1,553,100)	(958,447)
ვასილ ფხაჰაძე	საბოლოო ბენეფიციარი	(786,964)	(620,692)	(786,964)	(620,692)
შპს შუგდილი პალასი	სხვა	(454,110)	(619,926)	(454,110)	(619,926)
აუთდორ ჯი	სხვა	(169,972)	(91,188)	(169,972)	(91,188)
სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"	სხვა	(97,022)	(121,740)	(97,022)	(121,740)
შპს საკენი ბიოგრაფისკან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	(57,325)
ფინანსური შემოსავალი					
შპს გილაჯიო	სხვა	2,863,530	2,970,415	4,715,088	3,713,977
შპს ილფა	სხვა	2,000,308	1,135,271	2,000,308	1,135,271
გლობალ ინვესტორს ლიმიტი	საბოლოო ბენეფიციარი	497,237	-	421,107	-
შპს პრაიმ ფროფრთი გრუპ	სხვა	340,117	513,629	340,117	513,629
შპს სტარტაპ სტუდო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	21,413	22,003	21,413	22,003
შპს შპ ფროფრთი	სხვა	3,762	-	3,762	6,447
შპს ვისოლ ჯგუფი	სხვა	619	-	619	-
შპს ისანი თაუერსი	სხვა	74	-	74	-
შპს ისანი თაუერსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	1,040,949	-	1,040,949
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	სხვა	-	234,384	-	234,384
შპს შაბიანი ბიოგრაფისკან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	24,180	-	24,179
შპს მილონიუმ თაუერსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	781,645	1
შპს კოსტავა თაუერსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	733,052	701,018
შპს ეი ენერჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	346,514	-
შპს ალმა ლისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	30,904	2,191
სს ლაგუნა	სხვა	-	-	24,902	21,273
შპს ლომსია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	10,671	12,029
შპს საკენი ბიოგრაფისკან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-	-	603

უმეტესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	247,366	235,388	15,111	12,626

35. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული სესხები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ შპს შპ დიველოპმენტისგან აიღო ჯამურად 2,000,000 ლარის სესხი.

შვილობილი კომპანიის რეალიზაცია

- 2025 წლის 23 იანვარს შპს ალმამ გაყიდა შპს მილენუმ თაუერსის 100%-იანი წილი შპს ველაჯიოსა (80%) და შპს ბელმონდ კაპიტალზე (20%).
- 2025 წლის 7 აპრილს შპს ალმამ გაყიდა შპს კოსტავა თაუერსის 100%-იანი წილი შპს ველაჯიოზე.
- 2025 წლის 16 მაისს შპს ალმამ გაყიდა შპს ეი ენერჯის 100%-იანი წილი სს ლეტრენზე (8.4%), სს გრევიტი ინვესტმენტზე (16.6%), ფიზიკურ პირზე (25%) და შპს ველაჯიოზე (50%).

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი/კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი/კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარედგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ჯგუფის/კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი დაკლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

ჯგუფი/კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის/კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა/კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9-ის 85.50 და 85.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროცენტო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

ჯგუფმა/კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი/კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. ჯგუფი/კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები სანყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს სანყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შემოღებული და ჯგუფი/კომპანია გეგმავს ანგარიშშორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი/კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის;
- მოიჯარის მიერ განეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დარიცხვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ხოლო აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი/კომპანია ცვლის იჯარის ვადას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა/კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, რის შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაზე, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან ზოგადი მიმოხილვა

ჯგუფი/კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი/კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი/კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის/კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს შიდა სარეკლამო მომსახურების გაწევა თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში, მეტროში და გარე სარეკლამო მომსახურების გაწევა (მათ შორის ავტობუსებზე) კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტებისთვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ასევე სარეკლამო ბანერების გაყიდვა და სხვა მსგავსი საქონლის/მომსახურებების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევით და სარეკლამო საქონლის მიწოდებით

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის გარე და შიდა რეკლამის მომსახურება (რეკლამის განთავსება ბილბორდებზე, ციფრული რეკლამები მონიტორზე, ავტობუსებზე და სხვა) აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად. ჯგუფის/კომპანიის ხელშეკრულებების უმეტესობა არის მოკლევადიანი გარდა 2 ხელშეკრულებისა, რომლის მიხედვითაც ჯგუფი/კომპანია ავანსად იღებს 3 დან 10 წლამდე გასაწევი სარეკლამო მომსახურების თანხას.

ჯგუფი/კომპანია აფასებს ამონაგების თანხას მომსახურების მიწოდების დროს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის კალკულაციით, რომელიც დათვლილია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მოხდებოდა ფინანსური სახსრების სესხება.

შემოსავალი სარეკლამო ბანერების გაყიდვიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან (მონტაჟი, ინსტალაცია და სხვა) აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის/კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

ჯგუფს/კომპანიას, გარდა 2 გრძელვადიანი სარეკლამო ხელშეკრულებისა არ აქვს ისეთი ხელშეკრულება სადაც მომსახურების და მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების გარდა ჯგუფი/კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით. ჯგუფს/კომპანიას ერთი გრძელვადიანი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევა, რომლის ფარგლებშიც არაფულადი ანაზღაურება შეაფასა რეალური ღირებულებით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის/კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად ჯგუფი/კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ ოპერაციაზე ანაწილებს.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი განვითარების, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მიმდინარე და გადავადებული მოვების გადასახადი

მოვების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოვების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოვებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იხვევება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის/კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბრს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოვების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოვების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი/კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის/კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებზე, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებში. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება
ბილბორდები და სარეკლამო კონსტრუქციები	10-20
შენობა-ნაგებობები	40
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის დანადგარები, ავეჯი და სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. დაუმთავრებელი მშენებლობა შედგება მშენებარე ძირითადი საშუალებებისგან და სხვა გრძელვადიანი აქტივებისგან.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

აღმა ჯგუფი

შესწორებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლოცენზიები	6 - 30
სხვა არამატერიალური აქტივები	5 - 10

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი/კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან აღმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ჯგუფი/კომპანია საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვას ჯგუფი/კომპანია იწყებს მას შემდეგ, რაც აღნიშნული ქონება მზად არის იმ მიზნით გამოსაყენებლად, როგორც ეს თავდაპირველად პქონდა ხელმძღვანელობას განსაზღვრული. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი/კომპანია იყენებს ცვეთის წრთივი დარიცხვის მეთოდს. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და აღმინისტრაციულ ხარჯებსა და სხვა ხარჯებს შორის. საინვესტიციო ქონების, გარდა მიწისა, სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 40 წლით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

- ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და
- ბ) გრანტი იქნება მიღებული.

აქტივთან დაკავშირებული გრანტები ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიღებული გრანტის სახით.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან/კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში/კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს/კომპანიას აქვს რწმენა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში/კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების განწვევითანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს/კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში განეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

მიღებული დივიდენდი

დივიდენდები მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება, როდესაც: ა) დადგინდება სანარმოს უფლება გადახდილი დივიდენდების მიღებაზე; ბ) მოსალოდნელია დივიდენდებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის სანარმოში შემოსვლა; და გ) დივიდენდის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შვილობილებში განხორციელებული ინვესტიცია

კომპანიას გააჩნია კონტროლი სანარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ სანარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული სანარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ სანარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. შვილობილი კომპანიების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მათზე მოიპოვებს კონტროლს და აღირიცხება მანამ, სანამ მათზე კონტროლს დაკარგავს.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი სანარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის/კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. შვილობილი სანარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ სანარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ სანარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

36. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი/კომპანია აღრიცხავს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღრიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების“ შესაბამისად.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის/კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის/კომპანიის წესდებით. ჯგუფის/კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიის/ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენის მეთოდის ცვლილების შესახებ — არაპირდაპირი მეთოდიდან პირდაპირ მეთოდზე გადასვლის გზით. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IAS) 7 „ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება“ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პირდაპირ მეთოდს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ პირდაპირი მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციულ ანგარიშგებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისა და მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა ასევე ეხმარება ანგარიშგების მომხმარებლებს — განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებიც არ არიან ფინანსური სფეროს სპეციალისტები — ფინანსური ინფორმაციის უკეთ აღქმასა და ანალიზში, რაც ხელს უწყობს უკეთ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ცვლილება გააუმჯობესებს ანგარიშგების ხარისხს, გაზრდის მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, და მოიტანს მნიშვნელოვან სარგებელს როგორც კომპანიასა და ინვესტორებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

1. საქმიანობის ძირითადი მიმოხილვა

შპს ალმა (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სარეკლამო კომპანიას, რომელიც ლიდერია საქართველოში გარე-რეკლამის ბაზარზე. ჯგუფი/კომპანია ფლობს წილებს და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს სს ლაგუნას, შპს ლომსიას და შპს კრაკენი 8-ს, შპს კოსტავა თაუერსს, შპს მუზა დიჯიტალს, შპს სტარტაპ სტუდიოს, შპს ალმა ლისს, შპს მილენიუმ თაუერსს, შპს ქართლი ჯენერეიშენსა და შპს ეი ენერჯის.

სს ლაგუნას საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობა, შპს ლომსიას - სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

შპს ალმა ასევე ფლობს შპს ჯეო ტეკის 100%-იან წილს და 50%-იან ინვესტიციას შპს W-მედიასში. შპს ჯეო ტეკი არ ახორციელებს რაიმე სახის საქმიანობას, თუმცა ფლობს შპს აუთდორ.ჯის კაპიტალის 10%-იან წილს. შპს W-მედიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისათვის.

შპს ალმა ასევე ფლობს შპს კრაკენი 8-ის 75%-იან წილს, რომელიც შეიძინა 2021 წლის 9 ივლისს. შპს კრაკენი 8-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება (მათ შორის, სოციალური ქსელების, გვერდების მართვა და სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა) ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის.

შპს ალმა ასევე ფლობს 100%-იან ინვესტიციას შპს კოსტავა თაუერსში, 88.16%-იან ინვესტიციას შპს ალმა ლისში, 50%-იან ინვესტიციას - შპს საკენი ბიოგრაფისგან, შპს მათიანი ბიოგრაფისგანსა და შპს ჰისნი ბიოგრაფისგან-ში. ყველა ჩამოთვლილი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. კომპანია ასევე ფლობს 100%-იან ინვესტიციას შპს სტარტაპ სტუდიოში, რომლის საქმიანობას წარმოადგენს დამწყები და ინოვაციური ბიზნესების თანადაფინანსება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია/ჯგუფი ფლობდა შპს მილენიუმ თაუერის 100%-იან წილს (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა), რომელიც სრულად გაყიდა 2025 წლის იანვარში.

კომპანია ასევე ფლობს 100%-იან წილს შპს ქართლი ჯენერეიშენსა და შპს ეი ენერჯიში და 50%-იან წილს შპს მუზა დიჯიტალში. შპს მუზა დიჯიტალის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების მიღატუვური გაქირავება. შპს ქართლი ჯენერეიშენის საქმიანობაა მზის ელექტროსადგურის მშენებლობა, ხოლო შპს ეი ენერჯის საქმიანობა 2024 წლის პერიოდში არ იყო განსაზღვრული.

ჯგუფს/კომპანიას თავის სარეკლამო პორტფელში რამოდენიმე ქვემომართულება აქვს, ესენია: ბილბორდებზე, ავტობუსის მოსაცდელებზე, გარე მონიტორებზე, თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ბათუმის ავტობუსებზე, თბილისის და ბათუმის აეროპორტებში და თბილისი გზის გადასასვლელ ხიდებზე რეკლამის განთავსება/გავრცელება. თითოეული სარეკლამო არხი ხასიათდება თავისებურებით, თუმცა მათ აერთიანებთ გარე რეკლამის იდეა, რაც გულისხმობს სახლს გარეთ, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში რეკლამის განთავსების შესაძლებლობას.

ჯგუფს/კომპანიას ასევე გააჩნია საკუთარი სტამბა, სადაც განთავსებულია ფართოფორმატიანი საბეჭდო დანადგარები და ტექნიკური აღჭურვილობა (ავტომატური ტექნიკური პერსონალისთვის და ამწეკალათები), რისი საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა სარეკლამო მასალის მონტაჟი.

გარე-რეკლამის ბაზარი საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა წესებით არის რეგულირებული. მაგალითისთვის, თბილისში 2021 წლის სექტემბრამდე ქალაქის მერიას სარეკლამო ნებართვების ლიცენზია აუქციონის წესით გაცემული ჰქონდა 2 კომპანიაზე, შპს აუთდორ.ჯი-ზე და შპს სმოდ ედვერთაისინგზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, პირობითი გაყოფით, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე რეკლამის ნებართვის გაცემით იყვნენ დაკავებული. 2021 წლის სექტემბრიდან ეს ნებართვა აუქციონის წესით მოიგო ალმამ და შესაბამისად ამ პერიოდთან ორივე სანაპიროზე რეკლამის განთავსებას ამ ორი კომპანიის ნაცვლად უზრუნველყოფს ალმა. ქალაქ ქუთაისში და ზუგდიდში, თბილისისგან განსხვავებით, აუქციონი ცხადდება კონკრეტულ სარეკლამო ადგილებზე და დაინტერესებული კომპანიები მათთვის საინტერესო ლოტებში ღებულობენ მონაწილეობას.

2. განვითარების გეგმები

ჯგუფის/კომპანიის განვითარების გეგმები მოიცავს მთლიან სარეკლამო ბაზარზე გარე რეკლამის წილის ზრდას და კონკურენტებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციონირების გაუმჯობესებას. ამ გეგმის შესასრულებლად ჯგუფი/კომპანია მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: ავითარებს გარე-სარეკლამო მონიტორინგისა და ბილბორდების ქსელს, საქართველოს მასშტაბით აქტიურად ათავსებს ავტობუსის მოსაცდელი. სარეკლამო სივრცეში პოზიციების გაძლიერების მიზნით 2020 წელს ალმამ მოიგო თბილისში გზის გადასასვლელი ხიდების ტენდერი, რომლის პირობების მიხედვით ალმა დახარჯავს 10 მილიონს ლარს ქალაქში 15 გადასასვლელი ხიდის მშენებლობაზე და აქვს ხიდებზე რეკლამის განთავსების 25 წლიანი ექსკლუზიური უფლება. ასევე 2020 წელს ალმამ გაიმარჯვა აუქციონში, რომლის შედეგადაც ალმამ მოიპოვა ბათუმის ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება 30 წლით ვადით. 2024 წელს კი კომპანიამ/ჯგუფმა გარე რეკლამის საჯარო აუქციონზე ბათუმის სარეკლამო გვერდების მიმართულებით გაიმარჯვა და 10 წლით გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა, რაც გულისხმობს სარეკლამო აქტივების განთავსებას ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ჯგუფის/კომპანიის შემდგომი განვითარება განიხილება როგორც 1) აქტივების ზრდის კუთხით, რაც გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ალმას აქტივების გაზრდას/აუქციონებში მონაწილეობას, 2) ასევე არსებული აქტივების გაჯანსაღების მხრივ, რაც გულისხმობს უტილიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ამ მიზნით ჯგუფი/კომპანია აკვირდება საქართველოს მასშტაბით გარე რეკლამის სფეროში დაგეგმილ საჯარო აუქციონებს და განიხილავს შესაძლებლობას მათში მონაწილეობის შესახებ. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა მიმდინარე რეჟიმში სწავლობს ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში გაფართოვებით მიღებული მოგების პოტენციალს. მაღალი მიმზიდველობიდან გამომდინარე, 2024 წელს ბათუმის აუქციონში გამარჯვების შემდეგ ალმა უკვე ბათუმშიც არის წარმოდგენილი რეგიონალური ოფისით, რაც ხელს შეუწყობს აქტივების მაქსიმალურ დატვირთულობას.

არსებული აქტივების გაჯანსაღების მხრივ ჯგუფი/კომპანია ახდენს მის მფლობელობაში არსებული აქტივების შესწავლას და მოლაპარაკებას შესაბამის ორგანოებთან ამ აქტივების მოდიფიკაციის / რეალოკაციის მიმართულებით. ამგვარად გაუმჯობესებული აქტივების მიმზიდველობა პოტენციური დამკვეთისთვის უფრო მაღალია და შესაბამისად მოსალოდნელია როგორც ამ აქტივების გაქირავების მონაცემების ზრდა, ასევე უფრო მაღალ ფასად გაქირავების შესაძლებლობა. შემდგომ წლებში ჯგუფი/კომპანია ძირითადად ამ ორი მიმართულებით გეგმავს განვითარებას და სრულყოფას.

ჯგუფში/კომპანიაში შემავალი სამშენებლო კომანიების განვითარების გეგმებში შედის ქალაქის ცენტრალურ უბნებში თანამედროვე, კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა. პროექტები მოიცავს როგორც საცხოვრებელ, ასევე კომერციულ ფართების მშენებლობას, მათ აერთიანებთ ერთი კონცეფცია - საჭირო და მნიშვნელოვანი ობიექტების ერთ სივრცეში განთავსება.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს/კომპანიას თავისი ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე უდიდესი ინფრასტრუქტურა აქვს მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგალითისთვის ეს არის რამოდენიმე ასეული ავტობუსის მოსაცდელი და ბილბორდი თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ათეულობით ავტობუსის მოსაცდელი და ბილბორდი სხვა ქალაქებში, როგორცაა რუსთავი, გორი, ახალციხე, ზუგდიდი და ა.შ. ამ ინფრასტრუქტურის მოვლისა და შენახვის სამუშაოებისთვის ჯგუფში დასაქმებულია ათეულობით ადამიანი, რომლებიც ქმნიან ტექნიკური ჯგუფებს თბილისის და რეგიონების მასშტაბით. მასშტაბებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ალმას ფილიალები წარმოდგენილია თბილისსა და ბათუმში, დანარჩენ რეგიონებში სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფს ყავს რეგიონალური წარმომადგენლები ფილიალების ნაცვლად.

4. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი/კომპანია ყოველთვის ატარებს კვლევებს და ესწრება სხვადასხვა ღონისძიებებს, რაც გარე-რეკლამის ბაზრის მიმოხილვის ფარგლებში იმართება. კალენდარული წლის განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით, ტარდება არაერთი ღონისძიება (WOHOO, Us Expo და ა.შ.) რომლის მიზანია მსოფლიო გარე-რეკლამის ინდუსტრიის წარმომადგენლების შეკრება, ცოდნის და გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება და შემდეგ საკუთარი ქვეყნის ფარგლებში პრაქტიკაში დანერგვა. ესეთი ტიპის ღონისძიებები მეტწილად ემსახურება ახალი დიზაინის, ფუნქციონალის ან/და ტექნოლოგიის გაცნობას სხვადასხვა სარეკლამო პანელებთან მიმართებაში.

4. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 და 2024 წლებში ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობდა გარე ორგანიზაციებთან რათა უფრო მაღალ დონეზე აეყვანა მართვის სტრატეგიული ხედვა და დაეხვეწა ჯგუფის შემდგომი განვითარების გეგმები. ამ მიმართულებით ალმა ჯგუფი/კომპანია თანამშრომლობდა კვლევით ორგანიზაცია ACT-სთან, რომელთან ერთადაც ჩატარდა რამოდენიმე ტრენინგი ჯგუფის ტოპ ხელმძღვანელობის მონაწილეობით. ტრენინგებზე ხდებოდა ფოკუსირება თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო თანამშრომლების ხედვით, სად სჭირდებოდა ოპერაციების გაუმჯობესება და რა გამოწვევების წინაშე დგას. ტრენინგების შედეგად მოხდა თანამშრომლებში არსებული ხედვების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების გამოვლენა და მათზე შემდგომი მუშაობის დაგეგმვა.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის განმავლობაში ალმას სარეკლამო შემოსავლები უმჯობესდებოდა 2023 წელთან შედარებით. ჯგუფის შემოსავლები 28%-ით გაიზარდა 2023 წელთან შედარებით და 68.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ალმას შემოსავლები 31%-იანი ზრდით წინა წელთან შედარებით 65.6 მლნ ლარით განისაზღვრა.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის დაბეჭდვას და გაკვრა/განთავსებისგან მიღებული შემოსავლის ზრდამ 46% შეადგინა. 2024 წლის განმავლობაში ალმას ყველა სარეკლამო მიმართულება შემოსავლების მხრივ ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და ზრდის მაჩვენებლები 1-42%-ის ფარგლებში მერყეობდა, 42%-იანი ზრდა იყო მონიტორების მიმართულებით. საოპერაციო მოგება 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 118%-ით.

2024 წელს კომპანიის მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდების მაჩვენებელმა (current ratio) 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 0.56-დან 1.15-მდე, რაც ძირითადად განაპირობა მოკლევადიანმა გაცემულმა სესხებმა. მიმდინარე მონაცემებით მთლიანი შემოსავლის შეფარდება მთლიან აქტივებთან (Total assets turnover) გაზრდილია წინა წელთან შედარებით 21%-დან 26%-მდე. მთლიანი აქტივების ზრდა გაცემული სესხების გარდა განაპირობა ასევე კომპანიის მიერ 2024 წელში ბათუმის მუნიციპალურ ტერიტორიაზე მიღებულმა სანებართვო აქტივმა.

საოპერაციო მოგების მარჟა (Operating profit margin) მიმდინარე მონაცემებით შეადგენს 58%-ს და გაზრდილია წინა წლის 35%-იან მაჩვენებელთან შედარებით. კომპანიის საოპერაციო შედეგების გაუმჯობესების გარდა, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდაზე გავლენა იქონია წინა საანგარიშგებო წელში შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებულმა ზარალმა, რამაც შეადგინა 14 მლნ ლარი.

ჯგუფის საოპერაციო მოგება წინა საანგარიშგებო წელთან შედარებით შემცირდა 28%-ით, რაც განპირობებული იყო წინა წელს შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული მოგებით.

2024 წელს ჯგუფის მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდების მაჩვენებელი (current ratio) 2023 წელთან შედარებით 0.5-დან 0.48-მდე შემცირდა. მიმდინარე მონაცემებით ჯგუფის მთლიანი შემოსავლის შეფარდება მთლიან აქტივებთან (Total assets turnover) წინა წელთან შედარებით 18%-დან 22%-მდე გაიზარდა.

ჯგუფის საოპერაციო მოგების მარჟა (Operating profit margin) წინა წლის 94%-იან მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 53%-მდე. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იყო 2023 წელს შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული მოგებით.

საბოლოო ჯამში, კომპანია აჩვენებს დადებით და სტაბილურ დინამიკას ფინანსურ მაჩვენებლებში. აღსანიშნავია რომ გაიზარდა როგორც შემოსავალი, ასევე მოგება და აქტივების მოცულობა. პოზიტიური დინამიკა შეინიშნება ყველა წინა საანგარიშგებო წელთან მიმართებაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გამყარებულია, ზრდის ტენდენცია მდგრადია და ის ქმნის მყარ საფუძველს მომავალი განვითარებისათვის.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

ჯგუფში შემავალი კომპანიებიდან მხოლოდ სს ლაგუნა წარმოადგენენ სააქციო საზოგადოებას და საანგარიშგებო პერიოდში მათ მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა. ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიები არ არის სააქციო საზოგადოება. მათ არ აქვთ გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიებისთვის.

7. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2024 წელს საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, ჯგუფის/კომპანიის მიერ ძირითადად დაფინანსებული იყო კომერციული ბანკიდან და ჯგუფის/კომპანიის დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხის საშუალებით. მიღებული სესხების გრაფიკი, როგორც წესი ასახავს ინვესტიციის მიზნობრიობას, მაგალითად დაფინანსების მოკლევადიანი საჭიროებები მოკლევადიანი სესხით ბალანსდებოდა, ხოლო გრძელვადიანი დეფიციტი, შესაბამისად, გრძელვადიანი სესხის საშუალებით.

ჯგუფის/კომპანიის ძირითად ბიზნეს აქტივს წარმოადგენს: ა) სარეკლამო კონსტრუქციები და მათი განთავსების ადგილების მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ბ) დასაქმებული ძლიერი გუნდი, ვინც უზრუნველყოფს ბალანსზე არსებული სარეკლამო აქტივების გაქირავების მაღალ მაჩვენებელს გ) ბრენდის რეპუტაცია, რაც დამკვეთების ჯგუფის/კომპანიის მიმართ არსებულ ლოიალობაში არის გამოხატული.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სარეკლამო ინდუსტრიაში ბოლო ათწლეულის მანძილზე უდიდესი ცვლილებებია მომხდარი ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე. სარეკლამო ინდუსტრია ძალიან ფართო ცნებაა და მოიცავს სატელევიზიო, რადიო, ჟურნალ-გაზეთების, გარე-რეკლამის, ონლაინ და სხვა მცირე სარეკლამო არხებს. თითოეულ მათგანს მთლიან სარეკლამო დანახარჯში თავისი წილი აქვს, თუმცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ და სოციალური მედიის გააქტიურებამ მთლიანად გადააღება ბაზარი მსოფლიოს ნამყარ ქვეყნებში. მაგალითისთვის ამერიკის გარე-რეკლამის ასოციაციის კვლევის მიხედვით ონლაინ რეკლამის წილი მთლიან სარეკლამო ბაზარში 2006 წელს იყო 1%-ის ფარგლებში, 2011 წელს 20%-ს მიაღწია, 2016 წლის მონაცემებით კი 41%-ს გადააჭარბა. (წყარო: Mark Boidman-ის მიერ 2018 წელს გამოცემული წიგნი სახელად: Times Square everywhere – The next wave in the fast changing media landscape) ონლაინ სივრცეში რეკლამის განთავსების მსურველების მკვეთრმა ზრდამ, ბუნებრივია გაიზარა სხვა სარეკლამო არხების წილის მკვეთრ შემცირებამ - სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პროპორციით.

მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მეტად ჟურნალ-გაზეთებში რეკლამის გავრცელებამ იკლო და 2011 წლიდან 2016 წლამდე 28%-დან 11%-მდე შემცირდა. (წყარო: Mark Boidman-ის მიერ 2018 წელს გამოცემული წიგნი სახელად: Times Square everywhere – The next wave in the fast changing media landscape) 2016 წლიდან მოყოლებული კიდევ უფრო გაიზარდა სოციალური მედიის როლი მსოფლიოში, გაიზარდა სხვადასხვა სოციალურ ქსელებში, საძიებო სისტემებზე, ვიდეო პორტალებზე (Facebook-ი, Instagram-ი, google-ი, YouTube-ი და ა.შ) ჩართული ოუზერების რაოდენობა, შესაბამისად რეკლამის წილი, რაც ასახავს ყოველდღიურ რეჟიმში ჰპოვებს სარეკლამო ბაზარზე.

ამ მიმართულებით ჯგუფმა/კომპანიამ წლების წინ წამოიწყო მის მიერ შეთავაზებული სარეკლამო არხების გაფართოება და აქტიურად დაიწყო მონიტორინგის განთავსება სხვადასხვა ქალაქებში, რაც საკმაოდ პოპულარულ პროდუქტად გადაიქცა ალმას მომხმარებლებში. ამ მიმართულებით ჯგუფმა/კომპანიამ მიაღწია მნიშვნელოვან დადებით შედეგს და გააჩინა მყარი და მზარდი შემოსავლის წყარო. ამავდროულად 2021 წელს ჯგუფმა/კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია შპს კრაკენი 8-ში, რომელიც ინდივიდუალურ და კორპორატიულ მომხმარებლებს სთავაზობს სოციალური მედიაში პირადი გვერდების მართვისა და სხვა სარეკლამო მომსახურებას. ხელმძღვანელობის მიზანს წარმოადგენდა ჯგუფის/კომპანიის ჩართულობის და ხედვის უზრუნველყოფა სარეკლამო ბიზნესში მუდამ მზარდ სფეროში, როგორცაა ელექტრონული რეკლამა სოციალურ გვერდებზე და სხვა დაკავშირებულ არხებზე. შესაბამისად ჯგუფს/კომპანიას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ის სინერგიული ბენეფიტები, რაც გარე სარეკლამო ბაზრასა და ელექტრონულ რეკლამას შორის მოსალოდნელია წარმოიშვას, კლიენტებისათვის უფრო ფართო და ყოვლისმომცველი მომსახურების შეთავაზების შედეგად. ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო რისკი. თითოეული მათგანი დეტალურად არის განხილული ჯგუფის/კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვის ნაწილში.

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

შპს „ალმას“ კორპორაციული მართვის ანგარიშგება აღწერს კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემის შესაბამისობას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 172/04-ით დამტკიცებული „კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებთან. იგი ასევე განიხილავს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ალტერნატივებს და კომპანიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომლებიც მიმართულია კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ.

კომპანიას შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორაციული მართვის, გადანაცვლებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს. კომპანიის წესდება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. კომპანიის წესდება პერიოდულად გადაიხედება და ახლდება. 2024 წლის 26 დეკემბერს პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებული წესდება საჯარო, კერძოდ განთავსებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. კომპანიის მიერ შემუშავებული პოლიტიკები და პროცედურები მიმართულია კორპორატიული მართვის კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ და აგრეთვე იძლევა მათი დაკმაყოფილების ალტერნატიულ გზებს.

კომპანიის მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს. მის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის პოლიტიკების განხორციელებას უზრუნველყოფს კომპანიის დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების წამოჭრა შეუძლია მმართველი ორგანოს ნებისმიერ წევრს.

კომპანიას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არაფინსარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.

კომპანიას დამტკიცებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომლის მიზანიც დაქირავებულ პირთა და მმართველობითი ორგანოს წევრების მხრიდან ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების არსებობის უზრუნველყოფაა. ეთიკის კოდექსი სრულად შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს და აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათვითრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს. იგი პერიოდულად გადაიხედება და ხელმისაწვდომია საჯაროდ კომპანიის ვებგვერდზე: alma.ge. ეთიკის კოდექსის განხორციელებაზე ზედამხედველობას და აღსრულებას უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭო.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს („კანონი მენარმეთა შესახებ“) და „ემიტენტის“ წესდების მიხედვით, „ემიტენტის“ კონტროლი და მართვა გამოწვეულია საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას შორის. ამ უკანასკნელს ევალება „კომპანიის“ ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

„კომპანიაში“ დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა „კომპანიაში“ პარტნიორთა საერთო კრება, „კომპანიის“ ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს „ემიტენტის“ დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, „კომპანიის“ წესდებაში გამოწვეული კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

- **პარტნიორთა საერთო კრება** - გადაწყვეტილებას იღებს პრინციპულ საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება, ფინანსური ანგარიშის დამტკიცება, პარტნიორის გარიცხვა/გასვლა ორგანიზაციიდან და სხვა.
- **სამეთვალყურეო საბჭო** - ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს, ზედამხედველობს მის საქმიანობას, განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებებს. „კომპანიაში“ ასევე მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს ქვე-კომიტეტი - აუდიტის კომიტეტი.
- **დირექტორი** - წარმოადგენს „ემიტენტის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ეკისრება ყოველდღიური საქმიანობის მართვა;

პარტნიორთა საერთო კრება

„ემიტენტის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების პარტნიორები გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით.

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

პარტნიორები უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, შემდეგზე:

- ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
- საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება;
- საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენა;
- წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;
- პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან;
- პარტნიორის გავლა საზოგადოებიდან;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანამდებობაზე დანიშვნა, მათთან ხელშეკრულებების გაფორმება და მათი თანამდებობიდან გათავისუფლება, მათი შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- ხელმძღვანელი პირის/ორგანოს ანგარიშების დამტკიცება;
- ხელმძღვანელი ორგანოს წევრის/პირის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);
- საზოგადოების რეორგანიზაცია;
- საზოგადოების დაშლა;
- საზოგადოების სადამფუძნებლო მეთავნებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება;
- კაპიტალის გაზრდა/შემცირება, წილების ან წილების ეკვივალენტის გამოშვება;
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან 2 (ორი) წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა 1 (ერთი) წლის ვადით. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ხელახლა აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

სამეთვალყურეო საბჭო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც.

სამეთვალყურეო საბჭო მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით - სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია თითო ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შემდეგს:

- დირექტორისგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოთხოვნა;
- საზოგადოების საბუღალტრო წიგნებისა და ჩანაწერების, ნაღდი ფულის, ქონებისა და სხვა ფასიანი ქაღალდები კონტროლი. უფლებამოსილია დაავალოს ამ მოვალეობების განხორციელება ექსპერტებს;
- პარტნიორების რეგულარულ საერთო კრების მოწვევა საჭიროების შემთხვევაში;
- წლიური ანგარიშების, მოგების განაწილების წინადადებისა და სანარმოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შემოწმება, ამ მოსაზრების წარდგენა საერთო კრებისათვის;
- საკუთარი ანგარიშის მომზადება საერთო კრებისთვის წარსადგენად;
- დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში საზოგადოების წარმოდგენა;
- საზოგადოების პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა.

ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით:

- საზოგადოების გარე აუდიტის არჩევა, აუდიტის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის გათვალისწინებით;
- საზოგადოების აუდიტის კომიტეტის წევრების არჩევა და იმავე კომიტეტის დებულების დამტკიცება;
- საზოგადოების დირექტორის კონტროლი და ზედამხედველობა;
- საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა დირექტორისგან;
- ფინანსური ანგარიშგების, მოგების განაწილებასთან დაკავშირებული შეთავაზებების და საზოგადოების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შემოწმება და პარტნიორთა კრებისათვის თავისი მოსაზრების წარდგენა;
- საკუთარი ანგარიშის მომზადება, რომელიც წარდგენილ უნდა იქნას პარტნიორთა კრებისთვის;
- საზოგადოების ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკისა და მიზნების, ბიზნეს გეგმის განსაზღვრა;

9.კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

- დირექტორის მიერ მომზადებული საზოგადოების წესების, შინაგანაწესის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

სახელი, გვარი	პოზიცია	დანიშვნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა ¹
გიორგი კაჭარავა	დამოუკიდებელი წევრი, თავმჯდომარე	25.12.2024	25.12.2025
დავითი სვანიძე	დამოუკიდებელი წევრი	25.12.2024	25.12.2025
ვასილ ფხაკაძე	წევრი, თავმჯდომარის მოადგილე	25.12.2024	25.12.2025
ლევან ფხაკაძე	წევრი	25.12.2024	25.12.2025
სამსონ ფხაკაძე	წევრი	25.12.2024	25.12.2025

ბატონი გიორგი კაჭარავა არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2024 წლიდან წარმოდგენს შპს „აისბერგ ფოთის“ (სასაწყობე ლოჯისტიკური მომსახურება), შპს „ამერიქენ მონილოთი თბილისის“ (სასაწყობე ლოჯისტიკური მომსახურება) და შპს „ევრაზია ტო-ტო ლაინის“ (საზღვაო გადაზიდვები) დირექტორს. 2012 წლიდან დღემდე ასევე იკავებს შპს „აისბერგ თბილისის“ (სასაწყობე ლოჯისტიკური მომსახურება) დირექტორს, ხოლო 2005 წლიდან 2009 წლამდე იკავებდა შპს „ევრაზია შიფინგ & ლოჯისტიკის“ დირექტორის პოზიციას. გიორგი კაჭარავას მოპოვებული აქვს ბაკალავრიატის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან, ქიმიის ფაკულტეტის მიმართულებით.

კომპანიები², რომლებშიც ბ-ნი გიორგი კაჭარავა წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს აისბერგ ფოთი (ს/ნ: 404879985), შპს ბ & ჯ (ს/ნ: 202218803), შპს ამერიქენ მონილოთი - (ს/ნ: 211383590), შპს ევრაზია რორო ლაინ (ს/ნ: 415092394), შპს აისბერგ თბილისი (ს/ნ: 404888895), შპს რემბუ რეალ ისთით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ (ს/ნ: 405326320), შპს ანძა-94 (ს/ნ: 209453456), შპს დელექს შიპ სუფლაი (ს/ნ: 215147865), შპს ს & ს (ს/ნ: 204989290), შპს ბლექ სი შიპინგ ენდ ლოჯისტიკ (ს/ნ: 415092296), შპს ფოამ ჯორჯია (ს/ნ: 400059529), შპს თოლია 2012 (ს/ნ: 415086007), შპს ეტალონი 2011 (ს/ნ: 415083536), შპს გლობალსერვისჯორჯია (ს/ნ: 204544804), შპს ადეკო (ს/ნ: 215144886), შპს ევრაზია შიპინგ ენდ ლოჯისტიკ (ს/ნ: 215127958), შპს ევრაზია ტრანს გრუპი (ს/ნ: 415080487).

ბატონი დავითი სვანიძე არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. იგი არის საინვესტიციო ურთიერთობების დირექტორი „Petra Sea Resort“-ში (2023 წლიდან), სადაც ხელმძღვანელობს საინვესტიციო სტრატეგიებსა და ინვესტირებთან კომუნიკაციას. 2020 წლიდან ის ასევე ოპერაციული დირექტორია „Apollo G.S. - Kings Garden“-ში და ხოლო მანამდე იკავებდა ფინანსური დირექტორის პოზიციას „Svanidze Holding“-ში. მისი საერთაშორისო კარიერა მოიცავს მუშაობას „Philips Quality & Regulatory“-ში (2019-2020) და „Kable Artificial Intelligence“-ში (2019). დავითს ბიზნეს ადმინისტრაციის ბაკალავრის ხარისხი აქვს Northeastern University-დან, ბოსტონი (2019).

კომპანიები³, რომლებშიც ბ-ნი დავით სვანიძე წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს აპოლო გ.ს. (ს/ნ: 202430468), შპს დიონისე გ.ს. (ს/ნ: 205228813), შპს ჰელიოსი გ.ს. (ს/ნ: 202430486), შპს დემეტრა გ.ს. (ს/ნ: 205264694), შპს სვანიძე პოლდინგ (ს/ნ: 404605799), შპს ჯორჯია ევრაზია დიჯიტალ (ს/ნ: 404696263), შპს ჯორჯია ევრაზია ლოჯისტიკ (ს/ნ: 404696254), შპს ნიუ გუდაური ალპინ რიზორტ (ს/ნ: 404695647), შპს ჯუტ (ს/ნ: 404657331), შპს გადჰაბ (ს/ნ: 400333206), შპს ჯიეისი (ს/ნ: 404626259), შპს ჯიეისი 1 (ს/ნ: 400323440), საერთაშორისო ემ ემ ეი ფედერაცია ჯორჯია (ს/ნ: 404614798).

ბატონი ვასილ ფხაკაძე არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. 2015-2016 წლებში მუშაობდა ფინანსური რეპორტირების დეპარტამენტში შპს დი ენდ ბი საქართველოში, რომელიც „Dunkin“-ის ბრენდით ოპერირებდა. მოგვიანებით კი ფინანსური ანალიტიკოსის პოზიცია ეკავა სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაში, 2017-2022 წლის პერიოდში ვასილ ფხაკაძე ჰექ-ფონდ Crossover Capital Partner-ში (ბოსტონი) მუშაობდა ბიზნეს

¹ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა ხდება 1 წლის ვადით და შემდეგ საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე

² ყველა კომპანიის დასახელება, რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე

³ ყველა კომპანიის დასახელება, რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

ანალიტიკის მიმართულებით. ამჟამად ის უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიის - შპს ბიოგრაფი ლივინგის დირექტორის პოზიციას იკავებს. ვასილ ფხაკაძემ 2017 წელს დაამთავრა ბენტლის უნივერსიტეტის (აშშ) ეკონომიკისა და ფინანსების ფაკულტეტი.

კომპანიები³, რომლებშიც ბ-ნი ვასილ ფხაკაძე წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: შპს საკენი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 404651015), შპს ბიოგრაფი ლივინგ (ს/ნ: 404658731), შპს პარკ ლეინი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 405624944), შპს ცენტრალ პარკ ავენიუ (ს/ნ: 405648580), შპს ორიჯინ ბიოგრაფისგან (ს/ნ: 405666471), შპს კოსტავა თაუერსი (ს/ნ: 404649298), შპს პარკ ლეინი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 405624944), შპს კოსტავა თაუერსი (ს/ნ: 404649298), შპს პარკ ლეინი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 405624944), შპს მათიანი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 404614707), შპს პარტნიორი ისანი (ს/ნ: 404878655), შპს ისანი ისთით (ს/ნ: 406119187), შპს ფრუნზე და კომპანია (ს/ნ: 406244470), შპს იდეა (ს/ნ: 404618106), შპს პრაიმ ფროფერტი გრუპ (ს/ნ: 404615886), შპს მუხიანი თაუერსი (ს/ნ: 404615920).

ბატონი ლევან ფხაკაძე არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 1992-1994 წლებში იგი იყო კავკასიის ბირჟის უფროსი დირექტორი. ლევან ფხაკაძე მსხვილ გადამხდელთა კავშირის, საქართველოს ფინანსური ბაზრების ასოციაციის, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის და ამერიკის სავაჭრო პალატის წევრია საქართველოში. 1992-2000 წლებში ლევან ფხაკაძეს ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები სს თბილკომბანკში. იგი გახლდათ ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალური დირექტორის მოადგილე და სავალუტო განყოფილების ხელმძღვანელი. 1998-2003 წლებში იგი გახლდათ შპს. კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტის გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს წევრი. ის ვისოლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა 2000 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის და ეკონომიკის ფაკულტეტი. მან ასევე მიიღო მაგისტრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლასა და მოსკოვის ბიზნესის უმაღლეს სკოლაში. მენეჯერული კომუნიკაციების მიმართულებით სპეციალიზაცია გაიარა ბერლინის სკოლაში (ვაშინგტონი, აშშ).

გემოთ ჩამოთვლილის გარდა კომპანიები⁴, რომლებშიც ბ-ნი ლევან ფხაკაძე წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია (ს/ნ: 202161098), სს ვენჯორჯია (ს/ნ: 404885335), შპს კიოსკ ჯორჯია (ს/ნ: 405404003), შპს ვიენდი (ს/ნ: 405599605), ააიპ რაგბის კლუბი ს.ტ.უ. ყოჩები (ს/ნ: 202163434), შპს რუსთავი მოლი (ს/ნ: 405271450), შპს ისანი თაუერსი (ს/ნ: 404614681), შპს წერეთელი თაუერსი (ს/ნ: 404614707), სს სმარტ რითეილი (ს/ნ: 205124346), სს დი ენდ ბი საქართველო (ს/ნ: 404917131), სს ვენჯორჯია (ს/ნ: 404885335), სს ლაგუნა (ს/ნ: 248435493), შპს ვ-ჯეო რესტორნები (ს/ნ: 405404076), შპს იდეა (ს/ნ: 404618106), შპს სტანდარტ ოილ ჰოლდინგი (ს/ნ: 202160151), შპს საბჯორჯია (ს/ნ: 405620831), შპს მათიანი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 404614707).

ბატონი სოსო (სამსონ) ფხაკაძე არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 1993-2000 წლებში სოსო ფხაკაძე მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი დირექტორისა და სავალუტო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2000 წლიდან ის ვისოლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მან დააარსა და განავითარა დასავლური ტიპის ავტოგასამართი სადგურების ქსელი შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტის“ ბრენდის ქვეშ, რომელიც რებრენდინგის შემდგომ ვისოლის სახელით დამკვიდრდა საქართველოს ბაზარზე. 2009 წლიდან სოსო ფხაკაძე საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას იკავებს. ასოციაცია კერძო სექტორის ინტერესების დამცველ ერთ-ერთ უმსხვილეს არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს საქართველოში. 2021 წელს სოსო ფხაკაძე შეუერთდა „Shark Tank საქართველოს“ ინვესტორთა პანელს. ეს პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ბიზნესების აღმოჩენასა და განვითარებაში ხელშეწყობას. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თსუ ბიზნესის უმაღლესი სკოლა. მან ასევე მიიღო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი ჯორჯტაუნის (ვაშინგტონი, აშშ) უნივერსიტეტის დიპლომატიის სკოლაში, ჰარვარდის (აშშ) ბიზნეს სკოლასა და ჯონ კენედის სახელობის სკოლაში. ის ასევე არის ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი.

გემოთ ჩამოთვლილის გარდა კომპანიები⁴, რომლებშიც ბ-ნი სამსონ ფხაკაძე წარმოდგენილია/წარმოდგენილი იყო: სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია (ს/ნ: 202161098), სს ვენჯორჯია (ს/ნ: 404885335), შპს კიოსკ ჯორჯია (ს/ნ: 405404003), შპს ვიენდი (ს/ნ: 405599605), ააიპ რაგბის კლუბი ს.ტ.უ. ყოჩები (ს/ნ: 202163434), ააიპ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (ს/ნ: 205282781), შპს რუსთავი მოლი (ს/ნ: 405271450), შპს ისანი თაუერსი (ს/ნ: 404614681), შპს წერეთელი თაუერსი (ს/ნ: 404614707), სს სმარტ რითეილი (ს/ნ: 205124346), სს დი ენდ ბი საქართველო (ს/ნ: 404917131), სს ვენჯორჯია (ს/ნ: 404885335), სს ლაგუნა (ს/ნ: 248435493), შპს ვ-ჯეო რესტორნები (ს/ნ: 405404076), შპს იდეა (ს/ნ: 404618106), შპს კოფროდაქშენ (ს/ნ: 405552913), შპს ინო ჰაბ (ს/ნ: 400285035), შპს ვენჯორჯია დეველოპმენტი (ს/ნ: 404618106).

⁴ ყველა კომპანიის დასახელება, რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე

ალმა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

405005747), შპს საბჭოთა (ს/ნ: 405620831).

აუდიტის კომიტეტი

„ფინანსური ანგარიშგების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის შესაბამისად, „ემიტენტს“, როგორც ანგარიშვალდებულ საწარმოს, მოეთხოვება შექმნას აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოში, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრით (რის მოთხოვნებსაც დამატებით ადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლი). აუდიტის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადაა 2 (ორი) წელი. აუდიტის კომიტეტის წევრობის ვადა ყოველწლიურად გადაიხედება.

„ემიტენტი“ პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის შესაბამისობაშია აღნიშნულ მოთხოვნასთან, კერძოდ, „ემიტენტმა“ შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამი წევრისგან:

სახელი, გვარი	პოზიცია	დანიშნის თარიღი	უფლებამოსილების ამოწურვის ვადა
დავითი სვანიძე	დამოუკიდებელი წევრი, თავმჯდომარე	25.12.2024	25.12.2025
ვასილ ფხაკაძე	წევრი	25.12.2024	25.12.2025
ლევან ფხაკაძე	წევრი	25.12.2024	25.12.2025

აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია:

- დანიშნოს აუდიტორები, ანაზღაუროს და ზედამხედველობა გაუწიოს აუდიტორების მიერ შესრულებულ ნებისმიერ აუდიტორულ და არააუდიტორულ მომსახურებას, მათ შორის კომპანიის მიერ დაქირავებული, რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის სამუშაოს.
- გადაჭრას ხელმძღვანელობასა და აუდიტორს შორის არსებული ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც ეხება ფინანსურ ანგარიშგებასა და სხვა საკითხებს;
- წინასწარ შეათანხმოს და დაამტკიცოს აუდიტორების მიერ შესრულებული ნებისმიერი აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურება;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ;

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

- გამოსცეს რეკომენდაციები ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისა და შესარჩევი გარე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ;

სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ ატყობინებს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

დირექტორი

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია დირექტორს. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოების სახელით გადანაცვებების მიღების უფლებას. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

პროსპექტის დამტკიცების მომენტისთვის, „ემიტენტის“ დირექტორს წარმოადგენს - ბატონი გიორგი ტრაპაიძე. იგი „ემიტენტის“ დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა 2014 წელს, ხოლო მისი მოვალეობის ვადის გასვლის თარიღი განსაზღვრული არ არის.

ბატონი გიორგი ტრაპაიძე „ალმას“ 2014 წლიდან შეუერთდა და ამჟამად, „კომპანიაში“ დირექტორის პოზიციას იკავებს. იგი პასუხისმგებელია „კომპანიის“ განვითარებაზე, შემოსავლებისა და საოპერაციო მაჩვენებლების ზრდაზე, ისევე როგორც ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და მოლაპარაკებებზე. 2016 წლიდან 2019 წლამდე იგი შპს „მ3 დეველოპმენტის“ დირექტორის პოზიციას იკავებდა, სადაც პასუხისმგებელი იყო კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონების პროექტების წარმატებულად აღსრულებაზე. ხოლო 2007 წლიდან 2013 წლის ჩათვლით "ენეოდა საქმიანობას სს საქართველოს ბანკში კორპორატიულ დეპარტამენტში.

გემოთ ჩამოთვლილის გარდა კომპანიები⁴, სადაც ბატონი გიორგი ტრაპაიძე იყო წარმოდგენილი/წარმოდგენილია: შპს Color Media (ს/ნ: 404940123) , შპს ალმა ლისი (ს/ნ: 404656528) , შპს ალმა ტრანსპორტი (ს/ნ: 405142821) , შპს ბატუტ-ცენტრი (ს/ნ: 405271566), შპს ეი ენერჯი (ს/ნ: 405668923), შპს იკიგაი (ს/ნ: 402189822), შპს კოსტავა თაუერსი (ს/ნ: 404649298), შპს მ3 დეველოპმენტი (ს/ნ: 404960217), შპს მ3 ფროფერტი (ს/ნ: 405227268), შპს მუზა დიჯიტალ (ს/ნ: 405722491), შპს რუსთავი მოლი (ს/ნ: 405271450), შპს საკენი ბიოგრაფისგან (ს/ნ: 404651015), შპს ფერტუნა მედია (ს/ნ: 206330228), შპს ქართლი ჯენერეიშენ (ს/ნ: 404569882), შპს ჯეო ტეკი (ს/ნ 204542888).

რისკის მართვა და შიდა კონტროლი

რისკის მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს. რისკების იდენტიფიკაცია, შემცირება და მონიტორინგის სისტემები თანხვედრაშია კომპანიის ზომასთან, კომპლექსურობასთან და რისკის პროფილთან.

სამეთვალყურეო საბჭო სრულად ფლობს ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, რისკების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, აგრეთვე იმ რისკების შესახებ, რომლებიც ჯგუფისა და ბიზნისის ღონეზე გულისხმობს მიმდინარე რისკის ანალიზს და მომავალი რისკების იდენტიფიკაციას.

კომპანიაში გაწერილია კომპანიის რისკების მართვის პრინციპები, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებთან, კომპანიის სტრატეგიასთან, კაპიტალთან, ფინანსურ გეგმებთან და შრომის ანაზღაურების პრაქტიკასთან. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახდენს კომპანიის რისკების მართვის დოკუმენტის გადახედვას. კომპანიაში არსებობს რისკის მართვის სისტემა ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს საზოგადოებასთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს, ან რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს.

სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კომპანიის ძირითად პოლიტიკებს და კონტროლის მექანიზმებს.

რისკის მართვის ეფექტურობისთვის, კომპანიაში მოქმედებს მნიშვნელოვანი შიდა კონტროლის სისტემები. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემების მართვას და ფუნქციონირებას, რაც გულისხმობს:

- სამეთვალყურეო საბჭოს სრულ წვდომას კომპანიაში არსებულ მონაცემებთან, ჩანაწერებთან, ოქმებთან და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან;
- სამეთვალყურეო საბჭო აფასებს პროცესებისა და რისკის მართვის სისტემების ეფექტურობასა და შესაბამისობას შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან.

კომპანიაში მოქმედი აუდიტის კომიტეტი აფასებს შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემების ეფექტურობას და წარადგენს სესაბამის ანგარიშს, ხოლო კომპანიის მმართველ ორგანოს ეცნობება იდენტიფიცირებული პრობლემებისა და შეფასების შედეგების შესახებ. დირექტორი ითვალისწინებს მიღებულ რეკომენდაციებს და მუშაობს ნაკოვანებების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრაზე. კომპანიის მენეჯმენტი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი ინფორმაცია ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას და ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება შესაბამისი სტრუქტურების მიერ. კომპანიაში გამოიყენება ფუნქცია-მოვალეობები ინგვარად, რომ ერთსა და იმავე თანამშრომელს არ აქვს რომელიმე პროცესზე სრულად გავლენის მოხდენის საშუალება. თითოეულ პროცესში მონაწილეობს რამდენიმე სტრუქტურა ისე, რომ აღსრულებისა და კონტროლის ფუნქციები მუდმივად გამოიყენება ერთმანეთისგან.

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

შრომის ანაზღაურების პოლიტიკა

კომპანიაში მოქმედებს შრომის ანაზღაურების განვირგნო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ფორმებს, ზომებს, კომპონენტებს, ბონუსების სისტემებსა და გადახდის პერიოდულობას, ასევე თითოეული კომპონენტისთვის დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს, მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და პრემიების სქემის პირობებს.

კომპანიის შრომის ანაზღაურების პოლიტიკა შესაბამისობაშია მის სტრატეგიასთან, ბიზნეს და საბაზრო პრაქტიკასთან და არის ბაზარზე კონკურენტული.

შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ფიქსირებულ, ასევე ცვლად და საპენსიო კომპონენტებს. დამატებით, კომპანიის თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიული პაკეტით.

კომპანიის საბჭოს შრომის ანაზღაურება არის საბაზრო პრაქტიკის შესაბამისი და საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიას ჰყავდეს კომპეტენტური, გამოცდილი და უფლება-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო უნარების მქონე ხელმძღვანელობა. დირექტორების ანაზღაურება ასევე შეესაბამება კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მაჩვენებლებს.

ინტერესთა კონფლიქტი

სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს შორის (ასევე, „კომპანიის“ პარტნიორებს შორის) არსებობს ნათესაური კავშირი, კერძოდ ბატონი ლევან ფხაკაძე და ბატონო სამსონი ფხაკაძე არიან ძმები, ხოლო ბატონო ვასილ ფხაკაძე არის ბატონი ლევან ფხაკაძის შვილი.

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი პროსპექტის სარეგისტრაციო დოკუმენტის ქვეთავში „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“ აღწერილ საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს დანარჩენ წევრებს შორის.

მმართველი ორგანოს წევრებისა და პარტნიორების/აქციონერების შესახებ განცხადებები

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არცერთი წევრი, 5%-ზე მეტი წილის მფლობელი არცერთი ფიზიკური პირი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი- არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევო თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათვრების ფაქტებთან დაკავშირებით;
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ გამოვლენილა თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათვრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია.

პენსიები

ემიტენტი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო სქემას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით. 2018 წლის 21 ივლისს მიღებული კანონი ითვალისწინებს 6%-მდე ინვესტიციას პირის შემოსავლიდან მის პირად საპენსიო ანგარიშზე, სქემაში 2-2%-ით მონაწილეობს თითოეული თანამშრომელი და დამსაქმებელი, ხოლო დამატებითი შენატანი განსხვავდება თანამშრომლის შემოსავლის მიხედვით. ამჟამად, მთავრობა საპენსიო სქემის მონაწილის სასარგებლოდ ყოველწლიურად ანაზღაურებს, დასაქმებულის დასაბეგრი 120 შემოსავლის ოდენობა 2%-ს, (ისეთი თანამშრომლის შემთხვევაში რომლის მთლიანი წლიური შემოსავალი არ აღემატება 24,000 ლარს) და დასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის 1%-ს, (ისეთი თანამშრომლის შემთხვევაში რომლის მთლიანი წლიური შემოსავალი მერყეობს 24,000-დან 60,000-მდე). მთავრობას არ შეაქვს რაიმე შენატანი, თუ დასაქმებულის წლიური დასაბეგრი შემოსავალი აღემატება 60 000-ს (მხოლოდ შემოსავლის იმ ნაწილზე, რომელიც აღემატება წლიურ 60,000 ლარს).

ალმა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

კორპორატიული მმართველობა

„ემიტენტი“ სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევალებათ 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას.


დივიდენდების გაცემის პოლიტიკა

ყოველ პარტნიორს საზოგადოების მოგების/ქონების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს წლიური ან შუალედური დივიდენდი. დივიდენდი დგინდება საზოგადოების პარტნიორის წილის პროპორციული ოდენობით.

საბოლოო ბენეფიციარები

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის „ემიტენტის“ ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენს შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Global Investors Limited LTD / C 38646 / მალტა. იურიდიული მისამართი: Constitution Street, Mosta MST 9051, მალტა.

„ემიტენტის“ სადამფუძნებლო სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ:



ალმა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

„არტო ტრასტის ლიმიტედ“ (C58395, მალტა) (იურიდიული მისამართი: მალტა, Construction Street). ფლობს (მართავს) გლობალ ინვესტორს ლიმიტედის (C38646, მალტას) პარტნიორების წილებს ფიდუციური ვალდებულებებით და უფლებამოსილებით.

„ემიტენტის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ლევან ფხაკაძე (50%) და სამსონ (სოსო) ფხაკაძე (50%). ლევან ფხაკაძისა და სოსო ფხაკაძის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“ – „სამეთვალყურეო საბჭო“.

პარტნიორებს აქვთ ერთი კლასის წილები, რომელთა ნომინალური ღირებულება არის ერთი და იგივე. „ალმას“ არც ერთ პირდაპირ ან არაპირდაპირ მენილეს არ აქვს განსხვავებული ხმის უფლება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ტრაჰიაძე

ფინანსური მენეჯერი

ნათია დავითაძე

ალმა ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

9. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

“არტო ტრასტის ლიმიტედ” (C58395, მალტა) (იურიდიული მისამართი: მალტა, Construction Street). ფლობს (მართავს) გლობალ ინვესტორს ლიმიტედის (C38646, მალტას) პარტნიორების წილებს ფიდეიციური ვალდებულებებით და უფლებამოსილებით.

„ემიტენტის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ლევან ფხაკაძე (50%) და სამსონ (სოსო) ფხაკაძე (50%). ლევან ფხაკაძისა და სოსო ფხაკაძის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“ – „სამეთვალყურეო საბჭო“.

პარტნიორებს აქვთ ერთი კლასის წილები, რომელთა ნომინალური ღირებულება არის ერთი და იგივე. „ალმას“ არც ერთ პირდაპირ ან არაპირდაპირ მენილეს არ აქვს განსხვავებული ხმის უფლება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ტრაპაიძე

ფინანსური მენეჯერი

ნათია დავითაძე